

ბ. ბ.

ქუჩნალ «ჯეჯილი»-სა:

	გვერ.
I. შემოდგომა, ლექსი ძღვიძელისა	3
II. შემოდგომა, ლექსი ზესკასი	4
III. ბედნიერი დღე, სანამაწვილო ამბავი, ღუტუ ძეგრელისა	6
IV. ლომი და ბუზი, იგაჟ-ანჯი, ჯაკისა	15
V. თინიას გიშერა, მოთხრობა ს. ძვალბლიშვილისა.	18
VI. თურმე რძე შედღვებილიყო! (ფრანგულიდგან).	20
VII. კაენის და აბელის ამბავი, ხალხური ლექსი.	31
XIII. საწყალი კაცის ამბავი, ზღაპარი	35
IX. პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, ილი- კოსი	39
X. გელათის მონასტერი, გ. წურთელისა.	44
XI. აბრეშუმის ჭიის ამბავი, სანდროსი (თ. სანთიანისა).	52
XII. არხიმედი.	57
XIII. გამარჯვებული მურა, (ფრანგულიდგან).	64
XIV. მოხუცი და ახალგაზდა, (იგაჟი), ან-მანისა	66
XV. არამი შვილი, მოკლე ამბავი	67
XVI. პრასუნა, თამაშობა. ან-მანისა	—
XVII. ანდაზები, გამოცანები, ავროსტისი, ხალხური ლექსი, შინა- და. გასართობი და გამოცანა-რებუსი.	69



ჰეჰილი

საყმაწვილო სურათებიანი

ქუჩნალი

118.

იზარდე, მწვანე ჯეჟილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!
ი. დ.

№ VI.

წელიწადი პირველი



ტფილისი

სტამბა ივ. ა. მარტიროსიანცისა, ორბ. ქუჩა, სახლი № 1—2.

1890.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Октября 1890 года.



Типографія П. Мартиросіанца, Орб. ул., д. № 1—2.



შ ე მ ო დ გ ო მ ა



სამე იმატა. აცვიდა,
როვილსაც სძირდა სდებს დილითა;
მთა-ვეფსს შეაწედა საკინძე,
შეკრული ოქროს დილითა.

* *

ვერსვი და მუნა გატიტულდა,
ნერვი სდგას მკლოვიარედა;
ვახები გაყვითლებულან,
ქარი დრიალებს მწარედა.

* *

ნამვი გამოსჩანს მარტოკა
ტეეში აქა-იქ მწვანეთა,
ცა შუბლ-შეკრული ცრემლსა დგრის...
არ გაისვლებს გარეთა.

* *

მივარდნილ დედე-სევებში
ტურნა-მკლებს განკეთ ებუილი,
ძაღალი მთიდან ბანს აძლეეს
ღაღი სარ-ირძის სბუილი.

შ ე მ ო დ გ ო მ ა



ღემ იკლო, ღამე გადიღდა,
 ავამ იცვალა ნირია.
 აცივღა... სამხრეთისაკენ
 მზემ მიიბრუნა პირია.

მინღერები გაგვიღერანღა,
 ტყემ ღაიბერტყა მხრებია;
 ცამ ჩამოხარა წარბები,
 გაგვიქღღარა მთებია.

ქყაპი ღა თოღლი მატუღლოღბს,
 ყინღა პარპაზოღბს ღამითა;
 რთიღღმა ღააზრო ბაღღახი,
 გაზღღიღი ღიღღის ნამითა.

ტყემ-მინღერთო სოფელს მოაწყღდა
 კამეჩი, ძროღა, ღორია;
 ცხვარ-წყემსმა შირაქს მიჰმართა,
 გზა გაიარა შორია.

გამოგვეთხოვენენ, გაფრინღენ
 ტრეღი, გერიტი ღა მწყერია;
 მერცხაღღმა ც მალე დასტოღვა
 ჩვენი ღერეღენის ქერია...

თითქოს გლოვობდეს, მიდამოს
თაღბი აცვია ტანზედა!..
მხოლოდ სოფელი გულდიდობს,
ფეხი გაიდგა განზედა.

გულდიდობს, ხარობს: გადახნა
სოფლის ბოლო და თავია;
მომკო, გალენა, ორმოში
ბლომად ჩაყარა ხვავია!..

ზეზკა



ბ ე დ ნ ი ე რ ი დ დ ე

I



შენიერი განაფხულის დილა იყო. მხეს თუძცა უხვად მოევიანა დედა-მიწასე თავისი სსიყები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა. სან-და-სან ქქრო-და საამო ნიავი და ჭყენდა კარშემო ბაღები-დამ ტკბილ სურნელებას სხვა-და-სხვა ვვავი-ლებისას. დიდი სიმხიარულე იდგა, სულიერი თუ უსულიო სიამოვნებით შეჭხაროდა ამ ბედნიერ დილას.

არც კ—ის. სასოფლო სკოლის ზაწაწა შეკირდებით მოფენილი ესო იყო მოწყენილი ამ ბედნიერ დილას: ბავ-შვები უკან არ ჩამორჩენოდნენ საერთო მხიარულებაში სი-ცოცხლით სავსე ბუნებას და მასთან ერთად დღესასწაუ-ლობდნენ, ათასნაირ თამაშობაში კართუენი. სულ ზატა-რეები ჭრელ ზეგალებს დანდევდნენ დანაჭერად. უფრო მო-სდილები რიკ-ტაფელას თამაშობდნენ, ვველასე დ უფროსები ბურთს გაეტაცნა და იქით-აქეთ დარბოდნენ თავდავიწყე-ბუენი. სკოლის აივანი სავსე იყო ზატარო გოგოებით; ესენი რაღაცეებს აკეთებდნენ—ალობდ თავიანთ დედოფაღე-ებისთვის—და ისე მხიარულად იცინოდნენ, რომ მათი კის-კისი მღღლა დმერთს ეყურებოდა...

აკერ გამოვიდა აივანსედ ახალგაზდა, ცოტათი გამსღა-რი კაცი. დიმილით ვაიარ-გამოიარა გოგოებში, სოგიერ-თების კიდევ დაელაზარა და მივიდა სვეტთან, სადაც სარო ეკიდა. გოგოებმა იცოდნენ, რომ სარის დარეკა იყო სანჭი-

რო და თვალებში შესცქეროდნენ მასწავლებელს, ანა და მარეკი, ანა ძეო.

— დარო, მოდი დარეკე! — დაუძახა მასწავლებელმა ეველასედ უფრო ზატანა გოგოს, რომელიც კუთხეში იჯდა მარტოდ. გოგოს აქამდის მოწვენილი სახე გაუბრწვინდა: ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუცოცხლდა, ტუჩებმა გაუღიმა. თვალის დახამხამებაზე მიიბრინა სვეტთან, ძლივს მოჰკიდა ზარის ბაწარს ხელი და რამოდენიმეჯერ ჩამოაწკარუნა.

ვაიკანეს თუ ანა ბავშვებმა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყვირილით გაიქცნენ სკოლისკენ. გოგოები დაროსთან ერთად ბიჭებსედ უძალ შევიდნენ სკოლაში. სკოლის კარებსედ იდგა მასწავლებელი და უცინოდა თავის მოწაფეებს, რომელნიც მსიარულად მოხტოდნენ მის წინ.

— ბევრი ითამაშე? — ჰკითხა მასწავლებელმა ერთს შეკირღს.

— ბევრი, — მიუგო მან.

— როცა სახლში მიხვიდე, ან დაგავიწუდე, გააკერინე, სახელი დაგკლეჯიან. ბავშვმა დახედა ჩამოხეულ სახელოს, გაწითლდა და შევიდა სკოლაში.

— სიკო, რად კოჭლობ? — ჰკითხა მეორე შეკირღს მასწავლებელმა.

— ეკალი შექმნო ფესში, — უნასუნა ბავშვმა და ახვენა კამოკლეჯილ წუდიდამ კამოყოფილი ტიტველი ქუსლი.

— მეგრე ვერ გამოიდე?

— ვერა.

— მოდი ჩემთან, მე გამოგიღებ.

მასწავლებელი და ბავში შევიდნენ იქვე ოთახში. ზატანა



რწა სანს უკან ბავშვი გახარებულად გამოვიდა იქიდან და თავ-
მაშთამძაძობით შევიდა სკოლაში.

ამასობაში ვუვლანი დამსწდარიყვნენ თავ-თავიანთ ადგი-
ლებსედა და უცდიდნენ მასწავლებელს. მასწავლებელიც შევი-
და; შევირდები ძაძინვე ადგნენ და ერთმა მათგანმა წაიკით-
სა სწავლის დაწვების წინ სათქმელი ლოცვა.

— დაჯექით! — უთხრა მასწავლებელმა შევირდებს, რო-
ცა ლოცვა გათავდა.

შევირდები დასდნენ. მასწავლებელმა ერთი კაიარ-კა-
მოიარა და გაჩერდა შუა ადგილსედა. შევირდებმა სმა გაკ-
მინდეს. ისეთი სიჩუძე ჩამოვარდა, რომ ბუსის ფრენასაც
კაიკონებდა აღძმანი.

— დღეს ჩვენ გავწვევა ერთი სტუძარი, — დიძლით და-
იწყო მასწავლებელმა: — როცა აქ შემოვიდეს, ვუვლანი ადუ-
ქით და, სანამ არ კითხნათ, სუ დაჯდებით. როცა კკით-
სათ რაძე, ზასუსი თამაძად უთხარით, სმა ძაღლა, გარ-
კვევით. არ შეკეძინდეთ! ის ერთობ კეთილი კაცია და ბავ-
შვები ძლიერ უვვარს. კკითსავთ მსოლოდ იძას, რაც იცით
და კისწავლიათ. ცოდნა კი უნდა მოისძაროთ, როცა საჭი-
როება მოიტანს, და დღეს სწორედ საჭირო იქნება მისი
მოხმარება, რაც კისწავლიათ. აბა თქვენ იცით!...

კავთავა ეს სიტყვები, ძივიდა კედელთან, სადაც გამო-
კიდული იყო შევირდების სასელი და გვარები, და ჩამოი-
კითხა, რომ გავგო, ვინ არ იყო იმ დღეს სკოლაში. აღ-
მობნდა, რომ ერთი ზაწაწა ბავშვის, მისა სორაძვილის გარ-
და, ვუვლა იყო.

— ავად სომ არ არის მისა, თუ იცით ვინძე? — იკით-

სა მასწავლებელმა. ბავშვებმა ერთი მეორეს გადახედეს და
ზასუსი კი ვერაზინ უთხრა.

II.

ზაწაწა მისა ავად არ იყო, მაგრამ სკოლაში წასასვლელად მინც არ სცალოდა. საბრალო მისას დედას ნცივებდა და იმ დილასაც საძინლად კაცცია. მისას მამა ყანაში იყო წასული და ავადმყოფს—მისას მეტი ზატრონი არაზინ ჭყავდა. ჯერ ვითომ გაუძაღდა მისას დედა სენს და სადილის კეთებას მიჭყო სელი, მაგრამ ფენებმა და სელიებმა უსუსტეს უბედურს, და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. დავა წვა საწვალის, მოატანა მისას რაც რამ ქვეშაგების მაკვარი მოიწოვებოდა მათ სასლში, მოატანა აგრეთვე რაც რამ კონკები ებდათ, და დაიუბრა ეკვლაფერი თავსედ; მინც ვერაფერი ეძველა, ვერ გათბა.

—მოდი, შვილო, შენც დამაწვი, თვარა მოკეკდი სიცვიით,—უთხრა შვილს ავანკალებულმა დედამ.

მისა მძინვე მივიდა და ჩაეკრა დედას. რამოდენიმე ხანს ასე იყვნენ დედა-შვილი. გათბა, როგორც იქნა, მისას დედა და მისაც ძირს ჩამოვიდა. სელახელს სიცხემ უძტა ავადმყოფს და ზატარა ხანს უკან ისეთი ბორკვა დაიწყო, რომ, რაც ესურა, ეკვლაფერი გადაეარა.

—წვალის, წვალის!... იძასოდა ეოველს წამს ავადმყოფი და მისაც აწოდებდა ზატარა ლიტრით წვალის.

ამასობაში შუა დღემ მოატანა. ავადმყოფს ოფლი მოედინა და დაწინარდა. მისა თავით უჯდა და ფიქრებში იყო ვართული.



ესლა რა ამბავია სკოლაში, — ფიქრობდა მისა: — იქნებ კარგი რამ არის და მეკი წასვლა არ შემძლია. .

მისა არ სტყუვდებოდა; სკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, რომელსედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეკირდებს, მართლა ეწვია სკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და შეკირდების ცოდნით მადლობელი დარჩა. ბევრმა შეკირდმა სახუქარცი მიიღო მისგან კარგი მწავლისთვის, და მთელმა სკოლამ მასწავლებელთან ერთად მადლობა დაიძახა.

ნეტა ესლა მამა მოვიდოდეს, — ფიქრობდა მისა: — რომ მე სკოლაში წავიდე!

მისამ იცოდა, რომ ესლა გვიანლა იყო, მაგრამ მანც უნდოდა სკოლაში მისვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც მისა სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ისე შეუყვარდა სკოლაში სიარული, მასწავლებლის ეურისგდება, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანს შემდეგ დაწვებინეს, რომ ის დღე, რა დღესაც სკოლაში ვერ წავიდოდა, დღედ არ მიაჩნდა.

ამ დროს მისას მამა სიძინდს მარგლიდა ენაში. სადილობის დრომ მოატანა და იძინათვის კი სადილი კაცს არ მიჰქონდა.

— ალბად კიდევ განცევა დედა-კაცი, — იფიქრა იძინ, როცა ხანა, რომ ალბავინ მოდის, და მწარედ დადონებული წავიდა შინსკენ.

— რა ვქნა, რა მოვასერხო, რომ არ ვიცი? — ფიქრობდა საბრალო მუშა-კაცი კსახედ: — ავადმყოფს მოვუწრო, სადილი ვაკეთო, თუ ვთოხნო? დაგვლოცა, ღმერთო, სა-

მართალი!... მარტო-სეული კაცი ვარ და ამდენი საქმე კოსერსედ მსწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძღვე? ამ დღეებში «ბორჩიკიც» მომადგება კარებსედ ფოსტის ფულისთვის და მე-კი ორი გროში ვერ მიძოვნია, ქინაქინი ვიყიდა, იქნება დედაკაცს ციებამ თავი დაანებოს....

ამ მწარე ფიქრებში იყო გართული უბედური მიხას ძაძა, მაგრამ შევიდა თუ არა თავის სახლში, სადაც ავადმყოფი ცოლი ეწვა, მაშინვე ალერსიანად დაეკითხა ავადმყოფს, როგორა ხარო.

— რაღა როგორა ვარ, საშინლად გამაცვივა, — ძლივს უნახუსა ცოლმა.

— არაფერია, — ღიმილით უთხრა ქმარმა, — დღეს ან სვალ საიდგანზე ღებრთი მოწყალებას მოიღებს ჩვენსედ; ფულს ვიძოვი, ერთი-ორ ჯერს ქინაქინს გადაგაშუშვიებ და სულ კუდიტ ქვას ვასროლინებ შენს ციებას.

— ქინაქინი კი არა, ნეტავი, რაც საჭიროა, იმისთვის ვიძოვიდეთ ფულს, — სთქვა ავადმყოფმა.

— ვიძოვით, ვიძოვით!.. აბა სომ ჩვენსედ არ შეიკვრის ქვეყანა? — ამბობდა მიხას ძაძა.

— მაში, რა არის ქინაქინი? — იკითხა მიხამ, ცნობის ძეგვარეობით გატაცებულმა.

— წამალია, შვილო, მერე რა წამალი, — დედაშენმა ესლა ერთი წვეთი რომ დალიოს, მაშინვე ფესსე წამოდგება — უთხრა ძაძამ.

მიხა განუძა; ველარაფერი სთქვა, ისე გაიტაცა დედის მოწიხინის სურვილმა.

— ნეტა ერთი ფულს ვიძოვიდე დღეს, რომ დედის-



თვის «ქინაქინი» ვაეიდვიო მამას, ფაქობდა მისა და გულის
დქერტის ენვეწებოდა:—ღქერთო, გზსხედ ფუელი მანოქნიკა.

—მისა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში!—უთხრა
დედამ მისას, რადგან იცოდა, რომ სკოლაში წასვლა მისას
არ ეწეინებოდა.

—წადი, შვილო, წადი,—უთხრა მამამაც:—წადი, იქ-
ნება ისწავლო რაღე და გამოიყენო, თვარს სომ ხედვე ხვენს
გაჭირვებანს? წადი, მე სადილს დავსხვედრებ...

მისასაც ეს უნდოდა; მაშინვე წამოხტა ფესვე, ჩაიწეო
ჩანთაში წიგნები და გაექანა მხიარული სკოლისკენ.

III

როცა მისა სკოლაში შევიდა და დაინახა თავის ამხა-
ნაკების გაბრწეინებული სხვე, ბედნიერი მასწავლებელი,
კმაყოფილი სტუძარი; დაინახა, რომ მთელს სკოლას რაღაც
სადღესასწაულო ფერი დასდებია,—აღარ იცოდა, რა ექმნა.
შეძვრთალი განიერდა ერთს ადგილსკედ და მიახიერდა მასწავ-
ლებელს, თითქოს თვალებით შესთხოვს, გაძაგებინე, რა
ამბავია აქაო.

—მისას გაუძარჯოს!—დაუძახა მასწავლებელმა ღმი-
ლით:—სად ივავი ამდენს სხას?

მისა არაფერს არ ამბობდა და გაძტერებული იდგა.

—სხვა დროს არ დავიგვიანია და დღეს როგორ და-
გეძარბო, რომ ამისთანა ბედნიერ დღეს გამოგვაკლდი? დღეს
ხვენ გვეწვია ძვირფასი სტუძარი, ევეღანი შეძლებისდა-
გვარად დახვდით და მადლობა დავიმსახურეთ. შენკი ასე
გვიან მოხვედი... ძავრე უნდა მასწინძლობა?...»

მისას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ევსებოდა:

რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვათ კიდევ, ის ტირილს დაიწყებდა; მაგრამ ამ დროს მიიხმო სტუმარმა მასწავლებელი და ცოტა ხანს ჩუბდ ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივენი მიხვან უყურებდნენ. მერე მივიდა მასწავლებელი მიხანთან, გადაუსვა თავსედი ხელი და უთხრა:

— ან უშავსრა, კიდევ კარგ დროს მოგვისწარი. ახა წამოდი და შენებურად წაუკითხე ჩვენს სტუმარს წიგნი.

— მოდი ჩემთან, მოდი, ჰაწაწაჲ!— უთხრა სტუმარმაც ალერსიანად მიხანს. მიხანს იამა მასწავლებელისა და სტუმარის სიტყვების კილო და თამამად მივიდა.

— ახა, მოჰყვი აქედამ!— უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაძლილ წიგნსედი ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუღბა კითხვას, მერე და მერე კი გათამამდა და ჩინებულად დაიწყო კითხვა. წაკითხვის მერე სტუმარმა ათქმევინა წანაკითხი, და მიხამაც მშვენიერად უამბო ეგელაფერი, რაც წაკითხა. მერე ლექსები ათქმევინეს მიხანს სეპირად, მერე სანგარძო მიხანს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგად უთხრა ეგელაფერი.

— ეოხად, ეოხად!— იმხნოდა სტუმარი. მასწავლებელი განარებული იყო მიხანს ჰასუხებით, სტუმარი გაკვირვებული. გაათავეს მიხანს გამოკითხვა.

— საჩუქარი რომ აღარა მაქვს შენთვის!— გულდაწვეტილი ეუბნებოდა მიხანს სტუმარი:— რაც ქონდა, ეგელადავარიგე დღეს.

— ნუ შესწუხდებით, მე მივცემ საჩუქარს თქვენ მაგიერ, — უთხრა სტუმარს მასწავლებელმა.

— თქვენკი მისცემთ, მაგრამ მე მიხდა, რომ ჩემგანაც



ჭქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს და ცთხოვთ, ჩემ მავროს უეიდოთ, რაც თვითონ ჰსურს.

ამ სიტყვებსზედ ამოიღო სტუმარმა რამოდენიმე თეთრი ფული და მისცა მასწავლებელს. მასწავლებელმა გამოართვა და მიუბრუნდა მისას:

— მისა, ბარემ ეხლავე მითხარი, რა გყეიღო ამ ფულით?

— ქინაქინია! — წამოიძახა უცებ განარბებულმა მისამ.

ეველამ ყურები ცქვიტა და გაოცებულებმა შეჰხედეს.

— რა? — დაეკითხა მეორედ მასწავლებელი, რომელსაც ეგონა, რომ ყურმა მომატეუაო.

— «ქინაქინია!» — განიძეორა ბავშვმა.

— იცი მერე, რა არის ქინაქინია? — დიმილით ჰკითხა სტუმარმა მისას.

— წამალია! — მიუგო ბავშვმა.

— მერე რად გინდა შენ ეგ წამალი? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— დედას აცვივებს და ძამა სწუსს: — უფულობას რა ვუყო, თვარა «ქინაქინის» ვიყიდდი და მოვარჩენდიო.

სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეჰხედეს...

მისას ნეტარებას სასდვარი აღარ ჰქონდა; იმისთვის დღეს ბედნიერი დღე იყო, რადგან შეეძლო თავის გაჭირვებულ მშობლებისთვის სასარგებლო ყოფილიყო...



ლომდი და ბუჩი

უხმა ლომი გაიწვია
საჭიდაოდ მოედანსე.
გაეცინა ლომს... შესედა
და თავისთვის მიწვა განსე.

—
მაგრამ მინც არ მოეძვა,
ტრიალებდა როგორც ჯანა,
სან იქ ეცა, სან აქ ეცა
ხაწაწინა შეტინარა:

— თუ გულს გერჩის, გამობმანდი
ამ მოედნის ჰირსსაო!..
ქამანდებს რომ ზედ-მოგაყრი,
გადაგიყვან უირსსაო!

—
გაუკვირდა ლომს ძალიან:
რა თავს იგდებს სულელიო?..
ცოდვას აუტროებია
დღეს სიკვდილის მსურველიო!.

—
გარისნდა და შეუტია.
მაგრამ ბუხმა არ აცაღა,
უცბად ცხვირში შეუფრინდა
და ნესტომი მიიძაღა.

იქ ჩხიკინი რომ დაიწყო
 თავისუფლად, ნელა-ნელა...
 ღომს მით თავბრუ დახვია
 და თვალები დაუხვია.

აღრიბდა მწარედ ღომი,
 ხან სტოდა და ხან გორავდა;
 ბუსი ძინც ვერ კადენა,
 ტყვილა ცხვირ-ჩირს იტორავდა.



დაიქანცა... დაიღაბა
 სიმწრით მისი დაემართა;
 ბოლოს გული შეუწუსდა,
 და მიწასე კაიშლართა.

გამოფრინდა მამინ ბუსი,
 და, ლომი რომ ისე ნახა,
 «მე განლავართ ფაღვანი!»
 სინამდეთ დაიძახა.

და გაფრინდა ამხარტავნად,
 მოინდომა თავის ქება,—
 მაგრამ კნაში ქსელი დახვდა,
 და უეცრად შიკ გაეხა.

გამოექანა თბობა,
 დაიჭირა ცოდვის შვილი,—
 და მამინ კი სხვა კილოსუ
 მოაყოლა მან ბსუილი.

აკაკი





თ ი ნ ი ა ს გ ი შ ე რ ა


(მოთხრობა ხალხის ცხოვრებიდან)

I

ვიმონა ოქრუაშვილის ოჯახი ღღეს მთელს სოფელს ახალ-დაბაში უკანასკნელია; წინედ არა უშვედა-რა, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა ერთიანად გააჩანავა: ორი ვაჟი-შვილი ერთს წელიწადს დამარხა. დარჩა თვითონ და შვილის-შვილი თინია.

სვიმონა, ყვარჯენზედ დაყუდებული, ნაღვლით მოატარებს ხოლმე თავის კარმიდამოს თვალსა, აცეცებს აქეთ-იქით, მაგრამ მის დაფერფლილს თვალებს მხოლოდ ჩრდილად-ლა წარმოუდგებიან ხოლმე თავის შვილები, და სიბერისაგან მოღალეული თვალები სისხლის ცრემლებით დაეტენება ხოლმე. სვიმონას შერჩინენ მხოლოდ თავისავით ბებერი კატა და ძაღლი.

დარბაზში, დედა-ბოძთან, სვიმონასავით მოკუნტული, ბებერი კატა მარკადუთ იწვა, ათას გვარად ხრუტუნებდა და არღვევდა დარბაზის სიჩუმესა; გარედ, დარ ქვეშ, მუდამ გაშობილი ეგდო ქრელი ძაღლი, რომელსაც შიმშილისაგან ფერდი-ფერდზედ მისწვია, არაქათი გამჟოლეცია; აღარც კბენისა და აღარც ღრენის თავი აღარა აქვს; მხოლოდ ათასში ერთხელ, როცა რწყილები შეაწუხებენ ხოლმე, წამოიწვეწკავენს, ფეხს ზარმაცად დაუწყებს ფართხუნსა და ისევ დამბლასავით მიეშვება. თუმცა მუდამ ჰშიან ქრელსა, მაგრამ არსად მიდის, არ ანებებს თავს სვიმონას ოჯახსა; ბებერი კეთილი, ბებერი კარგი ახსოვს ამ ოჯახისაგან, თითონაც ამაგი უთესია და ამიტომ საბრალო ქრელა აქ, სვიმონასას, შიმშილით სიკვდილს რჩეობს სხვაგან სიმაძღრესა.



ბებერის ძაღლისა და კატის გარდა სვიმონას დარჩა, როგორც ვსთქვით, პაწია თინია და ერთი დეკეული, რომელსაც თინამ „გიშერა“ დაარქვა. თინია ამ ქამად ესე თორმეტის წლისა ძლივს იქნება; არც მამა ჰყავს, არც დედა; დედა სრულებით არ ახსოვს; მამა-კი, დიდი ხანი არ არის, რაც მოუკვდა; ბევრი იტირა პირველ დღეს, როცა მამა მოუკვდა, ორიოდ დღეს ინაღელა, მაგრამ თინიას გიშერამ გაუქარვა ნაღველი; გიშერას უფელიდა, იმას ეალერსებოდა და ასე იყოლიებდა ნაღველიანს თავსა. თუმცა კიდევაც ეტყობა იმას თვალეზში, რომ რაღაც აკლია, მაგრამ თინია ბავშვია და არას იმჩნევს.

სულითა და გულით შეუყვარდა თინიას თავისი დეკნა-გიშერა; მზე იმაზე ამოსდიოდა და მთვარე იმაზე ჩასდიოდა. თინას დედამამა საოფლემ დაუხოცა, გიშერას ჭირმა; თინაც ობლად-ობოლი იყო და გიშერაც; თინა შავგვრემანი გოგუცანა იყო, ცქვიტი, მალხაზი, მაცვალსავით შავი თვალეზიდან რაღაცა სასიამოვნო ელევა გამოჰკრთოდა; გიშერაც შავი იყო. თინამ ერთობ შეიყვარა და შეიტკბო დეკნა-გიშერა, ისე შეიყვარა და შეიტკბო, რომ უმისოდ ველარა სძლებდა.

მართლა და კარგი რამ იყო ეს გიშერა: სუფთა, დაბზენილი, თვალ-წარბი კალმით ნახატს უგავდა; ასეთი იყო გიშერა იმიტომ, რომ თინა იმას უფელიდა, ულოლიაეებდა, პირში სული არა შურდა იმისთვისა, პირიდან ლუკმას გამოიღებდა და იმას შეაჭმევდა ხოლმე. ის წყეული გიშერა კეკლუცი იყო, ლამაზი ტანისა, შავი, როგორც ყურჭი, ამიტომაც თინამ მას გიშერა უწოდა სახელადა.

გაიღვიძებდა თუ არა თინა, მაშინვე გიშერასთან მიცუნსულდებოდა, სველის შალის ნაჭრით გასწმენდდა, დაზეოდა, გაალამაზებდა, მერე გადახვევდა კისერზედ ხელს და წაიყვანდა ვენახში, სადაც გიშერას დააბამდა ბალახზე. ბალახზე დაბმას არ აკმარებდა, უზიდავდა ახალ-ახალ ღიქას, ვაზის ნორჩს ყლორტებსა და თავის ხელით აჭმევდა ხოლმე. ყოველ დღე უსათუოდ უნდა ღუკა ჰქონიყო თავის დეკნისათვის. როცა თავის ვენახში გამოეღეოდა, სხვა-



გან იპარავდა და აქმევდა. ბევრჯერ მოასწრობდნენ ხოლმე კიდეცა, მაგრამ ვენახის პატრონები არ უჯავრდებოდნენ, რადგან ღიჭის მეტი იმას არა გაჰქონდა-რა ვენახიდან.

გალამაზდა, გაიტყნა გიშერა. დაინახავდა თუ არა თავის თინასა, სიამოვნების ნიშნად მოჰყვებოდა ზმუკუნსა, კოწიაწსა, თავს გვერდზედ მიიგრებდა განებიერებულ ბავშსავითა და ხელებს აულოკდა ხოლმე, ხან ნაზად ამოუბუჩავებდა თავსა, მაგრამ ისე კი, რომ თავის საყვარელ თინასათვის არა დაეშავებინა-რა.

ასე ნებიერად გაიზარდა გიშერა, აგერ დადგეკულდა კიდეცა. თინა სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა, რომ იმის გიშერას ცხრა თთვის შემდეგ ხბო გაუჩნდება, და მაშინ რა ბედნიერნი იქნებოდნენ გიშერაც და თინაცა! სულ თითებზედ ითვლიდა თვეებსა და ლამაზ თვალეში შესცქეროდა ღეცნასა.

თინა ერთს წუთს არ მოისვენებდა, საშინლად მკვირცხლი, მალხაზი რამ იყო; არც ხელი და არც ფეხი არ გაჩერდებოდა მისი, სულ ფათურობდა, მიდი-მოდიოდა და რალასიც ზრუნვაში იყო. დილით, დაბინავებდა თუ არა გიშერასა ვენახში და იმის დარღს მორჩებოდა, პატარა ბაკსა, რომელშიაც ღამე გიშერა იწვა, დაჰგვიდა და დააკრიალებდა, მერე პირით ბუზიკის ხმაზედ საცეკვაოს დაუკრავდა და ერთი ისეთის ხელების კვანწვით და ტანის რხევით ჩამოუვლიდა ხოლმე დაკრიალებულს ბაკში, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. როცა ის საცეკვაოს დაჰკრავდა, მეზობლები ჩუმად მიიზრბენდნენ ბაკთან და ჰყეტას დაუწყებდნენ ხოლმე.

ერთხელ, როცა თინა ამისთანა ყოფაში იყო, პაპა მისი სვიმონა გარედ, ძარს ქვეშ, იდგა, ყვარჯენზედ დაეყრდნო თავი და მწარე ფიქრებს მისცემიყო. ბაკიდან შემოვსმა თინიას საცეკვაო ხმა, მიიღრიჯა კისერი და სვიმონას დანაოკებულს და დატანჯულს სახეზედ ერთს წამს სიამოვნებამ გადაურბინა და ტუჩზედ ღიმი ააჩნდა.

— შვილო, თინუკავ, პაპა გენაცვალოს!.. ეჰ, ღმერთო, მისმინე მე, ცოდვილსა... ჩადი ნათლია-შენ. სალომესთან, იქნება სველი ლუკმა მოგვაწოდოს, წელან ისერიმის შექმად დამპირდა. ჩაიზრბინე,

გენაცვალის პაპა, მშინ... ახლა, გოგუცავ, სულ ვერც უნდა იტყვი
 ქო და ითამაშო, რატომ შენს გიშვრას არ მიეპატრონები?

— პაპა, პაპალო! მე ჩემს გიშვრას ბაკი დავუსუფთავე და ეხლა
 ვენახში წავალ იმასთან; მგონია, ისეთია, რო სულ ტირის.... პაპა!
 ბორბალას ამოგიტან, მოგიხარშავ და ისა ქამე, აკი გიყვარს.

— აკი გითხარ, შეილო, რო სალომე ისერიმის შექამადს დამ-
 პირდა-მეთქი, ჩაირბინე და ამომიტანე. მსხალი კვლავ მოეხარშოთ,
 როცა არა გვექნება-რა.

— ჰო, კარგი.... პაპა, შენ გენაცვალე, მითხარი: ჩემი გიშვრა
 რადა ტირის ხოლმე? იმ დღესა ენახე და სულ ხუფ-ხუფით ჩამოს-
 დიოდა თვალეებზე ცრემლი.

— აბა, რა ვიცი, შეილო! ალბად ბუზი უკებენდა. გვალვამაც
 იცის: აგერ თვეა, ცას ნამი არ გაუგდია...

— პაპალო, შენი ჭირიმე, მითხარი, იქნება დედ-მამა რომ არა
 ჰყავს, იმიტომ ტირის? ჰა, პაპა!

— აკი დედ-მამა არც შენა გყავს, რატომ შენ კი არა სტირი,
 შეილო!.. საბრალო სვიმონას სული დაეტანჯა თინიას დედ-მამის ხსე-
 ნებაზედ, გული აუშვილდა, ცრემლი მოეგუბა, ნიაღვარსავით გად-
 მოსკდა და გაფხოკილ ტყავის სახელოებზედ, რომელიც მას ეცვა,
 წკაპა-წკუპი მოიღო.

თინას პაპა შეეცოდა, მივარდა, უსიტყვოდ მოეხვია ბერს მუ-
 ხლებზედ და ცრემლით დაუნამა შიშველი ფეხები; რადენიმე ცრემ-
 ლი, პაპის თვალთაგან ცხლად მონადენი, თინას საქოჩრებზედ დაეცა
 და შეაწუხა საბრალო ბავშვი. პაპის ცრემლმა თინიას თვალთ დაუ-
 ბნელა; მას პატარა გული დღეისაგან მთლად აუფანცქალდა, აუ-
 ძგერდა—აუძგერდა, თითქო ბუდიდამ გადმოვარდნა ჰსურსო. მაგრამ
 გიშვრამ გამოიხსნა გაჭირვებისაგან: მოაგონდა იგი, უცბად მოეცა-
 ლა პაპას, რომელიც ამის გამო დაბარბაცდა, და ნიავ-ქარსავით გაჰ-
 ქროლა ვენახისაკენ.

— ეჰჰ!! ღმერთო მაღალო! დაგელოცა სამართალი...

„წუთი-სოფელმა დღე ჩემი ძიმწარე დამალევენა, —

არც მომკლა, არც დამარჩინა, არც დღენი დამალევენა“.



სთქვა სეიმონამ ეს პაწია ლექსი თავის ბოლმის გოსაქვეყნებლად, თავის ქნევით გაადვენა თვალი თინიას, შემდეგ წამოწვა ძარ ქვეშ ჩეროში და თვალნი მილულა.

II

გიშერა ვაშლს ქვეშ იწვა, წყნარად და ნაზად იცოხნებოდა. ხანდისხან რისამე ფაჩუნი თუ შეუფრთხობდა მოსვენებასა და განცხრომას; მაშინ მოიღვრებდა ყელს დაფეთებულ მშველსავით და უნდა გენახათ, რა სასიამოვნო სანახავი იყო: ყურებს აცქვეტდა და დაუწყებდა კლავენას კუდსა, რომლის ბოლო ორად ჰქონდა გაყოფილი, ჩაგრებილი და კავებსავით თინასაგან ორად დაკულულებული.

გიშერას მოსწყინდა წოლაც და ცოხნაც. ადგა, გაიჭიმა და ცქვიტად მოაელო თვალი მიდამოს. უდარდელია, ბედნიერია გიშერა! იმისთანა ბედიანი ჯერ არვინ დაბადებულა ქვეყანაზედ! ის ამ დროს ფიქრობდა მხოლოდ თინაზედ, უკვირდა, რომ ნახვა დაუგვიანა, ნაღვლობდა, ხომ არა შეემთხვა-რა ჩემს საყვარელს დობილსაო.


უცხად ლობის ლაწუნი შემოესმა; გიშერამ მოიყელყელავა, წარბები აიჭიმა და მიაშტერა თვალები იქით, საიღამაც ლაწუნი შემოესმა; ლობეზედ მარდად შემოხტა თინია და აღერსით გადმოსძახა:

—დეკნავ, დეკნავ! გშიან? წყალი გწყურიან, გენაცვა?

დეკნამ შეზმუკუნა, პროწილი დაიწყო და თამაშობით მიეგება თინასა; თინა ყელზედ მოექცა და თვალებში ჩაჰკოცნა; გიშერამ ბუჩაობა დაუწყო და ხელები აულოკა; რავდენსამე წამს იყენენ ყელი-ყელს გადაქდობილნი ორნი დობილნი. აღერსი რომ მოიკლა, თინამ თვალები გადასწმინდა, ჩლაქები დაუსუფთავა და შემდეგ ეტიკტიკა:

—მე შენ ეხლა, ჩემო ლამაზო დეკნავ, ღიჯს მოგიტან; გიყვარს განა ღიჯა, გიყვარს განა? აქ მომიცადე, ეხლავე მოგირბენებ. ჰო, მართლა, აი ჯერ ეს მწიფე ბორბალა შეჭამე. დაუხლიჩა ბორბალა და შეაჭამა; მერე წამოფეთიანდა და დაეშვა ვაზებისაკენ, სადაც ღიჯამ ამოსელა იცოდა. გიშერა ბზუკუნით აედვენა.

—შენც წამოხვალ? მერე ვაზები რო დაამტერიო? არ დაამტ-



ერევ განა! მოდი ჩემთან, მოდი!... ფუჩი-ფუჩი!!... თინამ ხელი გაუშვია; გიშვია ნელის ნაბიჯით, ბზუკუნით და კუდის კლაკნით დაედევნა თინია-დობილსა.

რა ტკბილი წამები იყო ამათთვის ეს წამები სიამოვნებისა და ერთმანეთის აღერისისა. სალამოდის ვენახში იყვნენ; თინია შეუწყვეტლივ ეტიკტიკებოდა, და გაფუნჩული გიშვია იმის აღერისით სტკბებოდა.

მზე იწვევება; სვიმონას მკლავზედ სძინავს ძარს ქვეშ; მისი ერთგული ჭრელა იქვე წევს და ფეხებს აფართუნებს, რწყილებისაგან შეწუხებული; ბებერი კატა დედა-ბოძთან ხრუტუნებს. თინა გიშვრას ვახშამს უმზადებს: შეჰკრა პატარა კონა ნორჩი ბალახი, ცალი ხელით კონა დაიჭირა, ცალიც გიშვრას გადაჰხვია, და გამოსწიეს შინისაკენ.

III

სვიმონას სახლის იქილამ საწისქვილე რუ ჩამოდის და ზედ მოსდევს ბატონის ზვარი, რომელსაც სვიმონას სახლისკენ ამართული აქვს დიდრონ-დიდრონი კაკლის ხეები. დღე ღამეს გაეყარა; ბინდდება; ბაყაყებმა ნელ-ნელა და მწყობრად იწყეს გალობა. ტყიან გორაზედ, სადაც ცა ჩაყუდებული იყო, ნათელი გამოჩნდა და წითელ-ყვითლად დაიბნა ტყეში; ეს იყო ღამის გუშაგს—მთვარეს ყური ამოეყო, დიდებულად მოცურავდა ზემოდ-ზემოდ და ნათელს ჰფენდა ქვეყანას, მოღლილ-მოქანცულის მუშის საამებლად. მთვარე კაკლის ხეებს, რომელიც სვიმონას სახლს ჰქონდა აფარებული, დაუსწორდა და მორცხვ გოგოსავით იჭვრიტებოდა ტოტებ შუა; სხივი აღმასივით დაიბნა ფოთლებსა და ტოტებ შორის, აციმციმდა იქაურობა, თითქო ციციანთელის ჯარი შემოსევია კაკლებსაო.

ტოტებ შუა გამოარბენილი სხივები დაეცნენ სვიმონას სპეტაკ წვერზედ, უფრო გაუსპეტაკეს იგი და მის გაფხეკილს ტყავზედ რბენა და ციმციმი იწყეს; ბებერი კატა ძარის ბოძზედ შეჯდა, პირის ბანას მოჰყვა და სტკბებოდა ბუნების სიმშვენწიერით; ჭრელმა ძალღ-



მა თავი წამოიღო და სიამოვნების ნიშნად მღუნედ დაუწყოს ცეკვა. ნაობა; თინა გიშერას აბინაებდა ბაკში და რალაცას ლილინებდა. როცა სვიმონას მთვარის სხივები მოადგა, დამწვარი გული აუუან-ცქალდა ერთს წამს, ქული მოიხადა და შეჰღალადა უფალსა:

—ღმერთო მალალო! ყველა კარგად გაგიჩენია; იკურთხოს შენი სახელი.... ოჰ, სალომე, შენა? მოდი ნათლი-ჯალაბო!

—ლობიოს შექამადი მოგართვი,—უთხრა სალომემ.

—ღმერთმა ქმარ-შვილი გაგიძლიეროს, ჩემო სალომე; აგაც-დინოს ჩემს ბედსა და მწუხარებასა.

—ღმერთს ნუ გაირისხებ, ნათლი! დღეს თუ პატრონი არა გყავთ, ამ ერთის წლის შემდეგ შენი თინა მზა ქალი იქნება; ზედ-სიძედ ვინ დაგერიდება; დღეს უკაცო სახლი გაქვს, მაგრამ მამულიანი.

—ღმერთმა შეება მოგცეს ჩემის ნუგეშისათვის.... ჩემი თინა ჯერ პატარაა, რა დროს იმის ქორწილზედ ფიქრია... სიკვდილმა, ჩემო სალომე, ძან უკან დამწია; ორი წლის ფოჭტი ფული ჯერ არ მიმიცია; საბრალო ჩემს შვილებს „ნელოკად“ დაუტრჩინათ, ეხლა მამასახლისი მალონებს; ნახევარ ლიტრისასა მიხზოვენ...

—ღმერთი მოწყალეა, სოფელი შეგეწევა.

—ჩემო სალომე, მე რო შევწეწენივარ, როცა მქონია, ისიც უნდა შემეწიოს. ღმერთმა აკურთხოს სოფელი, მაგრამ სოფელმაც რა ქნას, ბევრი საზრუნე აქვს, შენ გეთაყვანე; წლიევანდელს არ მართმევს სოფელი, მაგრამ აღრინდელს ხომ ვერ გადაიხდის... ევჰ, იკურთხე ღმერთო! რალა ჩემი სიღარიბის მომატება უნდოდა ჩვენ სოფელსა... ეჰ, უფალო, ყველა კარგად გაგიჩენია, მაგრამ ეს კი ვერა...

—ნუ, ნუ!.. გააწყვეტინა სალომემ, ნურასა სცოდავ უფალსა; ვენაცვალე იმის მადლსა და სახელსა, უბედურობას მოგეჩვენებს და ბოლოს კეთილად შეგვიცვლის; აბა დაინახე, რა ბელი ექნება შენს თინას.

—ჰმ! ვითომ?... ვაი თუ თინას გიშერა გამიგდონ ამაღამ ბაკიდა და გამიყიდონ „ნელოკაში“, მერე რალა დაგვრჩება?

—ღიახ, ღიახ! როგორ არა! ისემც შავი მიწა დაჰყრია გულზე-



და იმ მამასახლისსა, რაც მე იმას ჩემი გიშერა არ დავანებო; თუდ მთელი ღუნია ზედ დამედოს, არავის დავანებებ, — სთქვა თინაიამ, რომელიც საძილედ ემზადებოდა.

— მოსამართლეები დამპირდნენ, შელავათს მოგცემთო.

— წაეალ, ჩემ კაცს ვავგზავნი, რო თავდებად დაგიდგეს დრომდისა.

— შენ კეთილი დედა-კაცი ხარ და იმიტომ ლაპარაკობ ეგრე. თინას მიეძინა გარედ თუთის ხის ქვეშ, რომელიც ძარსა და ბაკს შუა იყო ამოსული; თუთის მეორე მხარეს გიშერას ჩათვლიმა და მღუნედ იცოხნებოდა, ეძინათ ღობილებსა და ესმოდათ ერთმანეთის ფშვინვა.

თინას ეშხიანს სახეს ზედ დააკედნენ სხიენი მთვარისა; ხანდისხან, ქარის მიმობერვით, თუთის ტოტები სხიეს სტაცებდნენ თინას სახესა, მაგრამ კვალად ტკბილად ეკონებოდნენ უმანკო ლოყებს თინასას; სხიფენილს უმანკო სახეს უფრო ალამაზებდა, გასაყარს უმანკობას ჰფენდა ძილში ანგელოზებრივი ღიმილი და წარბ-წამწამის ხშირად ციმციმი. უმანკო სული თინასი უმანკო სულებს უცინოდა და ავედრებდა გიშერას უცნებლობასა, რომელსედაც ფიქრი გულში ჯავრად ჩაჰყვა.

მთის სიომ უმატა. ნორჩს ტოტებს თუთისას გადაჰქონდათ მთვარის სხივები თინაიადამ გიშერაზედ და გიშერადამ თინაზედ, თითქო ასალმებდა ამ წუთი-სოფელსა, ასალმებდა ერთმანეთსა და ამიტომ უკანასკნელად აკონებდა ერთის სხივს მეორისას...

ერთს დილას სვიმონას დერეფანში, ბაკის გამოსავალთან, სართუმალზედ ალის ბალიში იყო მიგდებული და ზედ გადასვენებულ იწვა ჩვენი თინაი; გარს სოფლის დედა-კაცები უხსდნენ; ერთი მათგანი ფრთილებს ასხამდა, მეორე შავ-ტარა დანით და ნახშირით ულოცავდა სიცხისაგან გარეტებულს თინასა და მალი-მალ გასაოცრად ამოქნარებდა.



სვიმონა, თავის ერთგულს ყავარჯენზედ დაყრდომილი, ადგა თავს თინიასა და უსიტყვოდ სისხლის ცრემლებს აბნევდა. მლოცველმა ლოცვა რომ გაათავა, ავადმყოფს შუბლზედ ნახშირით ჯვრათ გამოუსახა; პაპა-სვიმონამ თავი გადილო თინიასკენ, სვეტაკს წვერზედ დაკიდებული, ნაღვლისაგან შეზავებულ-შედუღებულის ცრემლის ნამები დაეცა თინიას უმანკო ლოყაზედ. დამწვარის გულიდამ ამონადულმა ცრემლმა თინას გახურებული სახე უფრო გაუხურა და უცბად თვალები აახილა, მაგრამ მალევე მილულა და გიშერაზედ ბუტბუტებდა.

უღმობელმა ქორმა, რომელიც სოფელ ახალ-დაბაში მთელი ზაფხული მძვინვარებდა და იქაურობას სულ მუსრი გაავლო, თინიას გიშერასაც მიაგნო და მოსწყვიტა იგი დობილს გულიდამა.

როცა ერთს დილით თინა ბაკში შევიდა ავადმყოფ გიშერას სანახავად, მას ჩვეულებრივად გიშერას ბზუკუნი აღარ შამოესმა; თინას მაშინვე გულმა ძაგ-ძაგი დაუწყო, მივარდა გამოტოლო გიშერასთან, თავი წამოუწია, ჩაჰხედა ღია თვალებში, რომელზედაც ცრემლი დაჰკონწიალობდა, და ერთი საშინლად დაიწვილა: სისხლი, ჯავრისაგან ბაღმად ქცეული, ტვინში ეცა, საბრალო თინა სიკვდილად მისწურა, და კინაღამ გიშერას თან გადაჰყვა.

ს. მაგლობლიშვილი



თ უ რ მ ე რ მ ე

შ ე დ ღ ვ ე ბ ი ლ ი ე ა!



როსხელ დედამ მისცა თიხის ახალი ქოთანი სახურავით თავის ქალ-ვაჟს და უთხრა:

— შეილო, წადით სოფლის ბოლოს ჩვენ სოფიოსთან, ამ ქოთნით რძე გამოართვით და მომიტანეთ. ნელა წამოდით იქიდამ, რძე არ დაღვაროთ, თუ ქოთანი გემძიმოთ—გზა-და-გზა დასვენეთ.

ლექსო და ბაბუცა მხიარულად გაუდგნენ გზას. მინდორი სხვა-და-სხვა ფერი ყვავილებით იყო აყვავებული; ქრელი პეპელები დაფრინავდნენ ყანებში.

ყმაწვილები მივიდნენ სოფიოსთან. სოფიომ მაშინვე ჩაუსხა ქოთანში რძე, თავი დახურა და უთხრა ყმაწვილებს:

— ფრთხილად წაიღეთ, გზაზედ არ გაგიტყდეთ ქოთანი, ან რძე არ დაღვაროთ.

ყმაწვილები უკან წამოვიდნენ. ლექსო უფროსი იყო და იმას მოჰქონდა ქოთანი, ბაბუცა ფეხ-და-ფეხ ძუგძუგით მოსდევდა.

ცოტა რომ გაიარეს, მინდვრის შესახვევში დაუზვდათ თავიანთ ტოლი ბიძაშვილი, ცელქი და მხიარული დათა, რომელიც მოათრევდა რალაც ერთ-თვლიან თრუკიალას.

— საიღამ მოსდინხართ? — ჰკითხა დათამ.

— რძე მოგვაქვს, დედამ დაგვაბარა.. შენ რაღა ამბავში ხარ?

— არა ხედავთ? აი ბიძიამ მაჩუქა ეს პატარა ურემი და ვათროკიალებ.

მეც მინდა შენთან თამაშობა, მაგრამ რძე რომ მაქვს შენ წასაღები?, — უთხრა ლექსომ.

— მერე რო იცოდე, რა მძიმეა ეს ქოთანი—დაუმატა ბაბუცამ.

— იცით, რა გითხრათ, წამოიძახა დათამ, — მოდი ქოთანი ამ პატარა ურემზედ დავდგათ და სამთავ ერთად მივათროკიალოთ სა-



ხლამდას. თამაშობითაც წავალთ და ქოთანსაც ადვილად მივითანთ შინ.

— რძე ხომ დაიღვრება? — უთხრა ლექსომ.

— რად დაიღვრება, თავი მაგრა ხურავს.

— მერე ქოთანი რომ გადაბრუნდეს? — სთქვა ბაბუცამ.

— მაგასაც ვუშველით, ნახე როგორ გავამაგრო!

მოხერხებულმა დათამ ქოთანი მარჯვედ ჩასდგა ურემში, გვერდები ამოავსო ბალახით და ისე გაქვედა ქოთანი, რომ და-ძმა სიხარულით ტაშის კერას მოჰყვნენ.

დაუწყეს სამთავემ ერთად პატარა ურემს გაწევა, ჯერ ნელ-ნელა მიათრევდნენ, რომ ქოთანი არ გაეტეხნათ, ან რძე არ დაეღვრათ; მერე, რა ნახეს, რომ ქოთანი მაგრადა სდგასო, აუჩქარეს ურემს თროკიალი. ბოლოს სულ სირბილით მიაქანებდნენ...

ყმაწვილები ძალიან მხიარულად იყვნენ.

მოუსვენარმა დათამ ესეც არ იკმარა, — თავში ეხლა სხვა აზრი მოუვიდა. ასე ჩქარა რომ ევლოთ, ხომ მალე მივიდოდნენ შინ, — ხეებსა და ხეებ შუა სახლი კიდევ მოჩანდა.

— შინ მისვლა გეჩქარებათ? — ჰკითხა დათამ.

— სულაც არა! ერთი საათიც რომ კიდევ დავიგვიანოთ, დედა არაფერს გვეტყვის, — უთხრა ლექსომ.

— მაშ, კარგი, მოდი შორი გზით წავიდეთ!

ჩვენ ლექსოს და ბაბუცასაც ძალიან მოეწონათ ეს აზრი და იმის მაგიერ, რომ სწორე გზით პირ-და-პირ სახლში მისულიყვნენ; ყმაწვილები მობრუნდნენ და ბილიკს დაადგნენ.

— ავიდეთ ჯერ აი იმ სერზედ და მერე იქილამ ტყე-და-ტყე წავალთ სახლში, — სთქვა დათამ.

და-ძმანიც მიჰყვნენ.

მართლაც მშვენიერი ბილიკი მიდიოდა; ხეებ ქვეშ, ჩრდილში, გრილოდა, გზაც სწორი იყო, კარგი... ურემი ისე მიდიოდა, თათქოს ყინულზედ მისრიალებსო. მერე კი უსწორ-მოსწორი და ქვიანი გზა მისდევდა, ქვებზედ ურემი წამ-და-უწყუმ ხტებოდა, იტყოდი, ეს არის აი

ან ეხლა და ან ეხლა გადაბრუნდებაო. ქოთანი საშინლად ირყეოდა.

—რბე ხომ არ იქცევა და დანჯღრევით რა უშავს,—ამბობდა
ლათა.



ყმაწვილები სიხარულთი აღარ იყვნენ. სიცილით და ხტუნვით
მიარბენინებდნენ ურემს, არაფრად მიაჩნდათ ცუდი გზა. ბოლოს, რო-
დესაც პატარა ტყეს შეუხვიეს, ბაბუცამ წამოიძახა:

—არ მეგონა, თუ გზა ასე გაგრძელდებოდა!

—მართლა—მიუგო ლექსომ,—კაი ხანია, რაც შინიღამ წამო-
ვედით, დედა გაგვიჯავრდება, აუჩქაროთ ფეხი, გავექცეთ!



ყმაწვილებმა, რაც ძალი ჰქონდათ, გაიტაცეს ურემი. ჩამოცხა.
 დაიღალნენ.

ლექსო და ბაბუცა მოქანცულნი და გაწითლებულნი მივიდნენ
 სახლში.

—აი, დედა, მოგიტანეთ რძე!

—თქვე საძაგლებო, გეტყობათ გირბენიათ, ძალიან დაღალულ-
 ხართ!

— სულაც არა, — სთქვა ლექსომ.

— ჩვენი დათა დაგეხვდა გზაზედ, — დაუმატა ბაბუცამ, — გზა ხომ
 შორია და, რომ არ დავდლოლიყავით, იმის თრუკიალაზედ დავდგით
 ქოთანნი. იცი, დედი, ბიძიას უჩუქებია იმისთვის პატარა თრუკიალა.
 ქოთანს თავი კარგად ჰქონდა დახურული, და, ხომ ხედავ, ერთი ცვა-
 რიც არ დავღვარეთ.

მაგრამ დახეთ, რა ამბავი მოხდა! დედამ რომ ქოთანს სახურა-
 ვი მოხდა, ნაღბიან რძის მაგიერ ყმაწვილებმა დაინახეს შრატი, რო-
 მელშია ცურავდნენ მოყვითანო, მსუქანი მარცვლები, — თურმე რძე
 შედღვებილიყო!

ლექსო და ბაბუცა გაშტერებულნი და დანაშაულის სახით
 შესცქეროდნენ დედას, დედამ კი გაუღიმა და უთხრა:

— ჩემო ცელქებო, არა უშავს რა, არც აგრე რიგად წამხდარა
 საქმე.

დედამ ამოიღო კოვზით თევზზედ პატარა ყვითელი კარაქის
 მარცვლები, დაასხა ზედ ცივი წყალი, და გახდა ნამდვილი კარაქი.

ლექსომ და ბაბუცამ გაკვირვებით შეხედეს დედას. იმნაც აუხს-
 ნა, რომ რძე გზაში ბევრის რყევისაგან შედღვებილა, და ყმაწვილები
 საუზმეზე რძის მაგიერად კარაქს შეექცნენ.

კაენისა და აბელის ამბავი

(გაგონილი ქართლში, სოფელ კარაღეთში
ვასო ბიბილაშვილისაგან).



აენ, აბელ ძმანი იყვნენ,
ვისაც გული ემოწმება;
მათოდენი საქონელი
თემზე კაცს არ ეყოლება!...

კაენ იყო გუთნი-დედა,
აბელი ცხვარს ედევნება...
აბელს ერთი ვერძი ჰყვანდა,
ათას ფერად აყვავდება!...

აბელ იმას ღმერთს შესწირავს,
რაც რომ გულში ენდომება;
ე დაწყევლილი კაენი
ამაზედ კი გაჯავრდება!...

— „ბრმა და კოჭლი ღმერთს შევწიროთ,
უკეთესი ჩვენ დაგვრჩება.“

— ეგ, ძმაო, როგორ მითხარი?
მეუფეს ხომ ეწყინება?

— „უკეთესი ღმერთს შევსწიროთ,
ბრმა და კოჭლი გამრავლდება“!..

ამას ამასობაშია
ლაპარაკი მოუხდებათ.

კაენ აბელს გაეყრება,
წილი ათასის ერგებათ...
რომელიც კარგი კერძია,
ის ხომ კაენსა ღარჩება.

— ძმაო, ეგ კერძი მე მამე,
 მე შენთვის რამ მენდომება!...
 ამ დროსა საიდგანლაცა
 კაენს ქაჯი ეცხადება!...

ეს დაწყველილი კაენი
 აბელსა აედევნება.
 აბელმა შემოიხედა,
 ის ხომ კაენი იქნება!..

ჯვარედინ გზაზედ აბელი
 სასამხთოეთ ემზადება;
 წელზედ ხელი შემოისვა,
 მარამ დანა არ შერჩება;

მუხლი ჰკრა, ზეცას შეაგლო,
 ღვთის ანგელოზს ებარება.
 მივიდა და დაიხოქა,
 ჩოქით სალამს ეუბნება:

— „ღმერთმან იცის, ძმაო აბელ,
 სული შენთვის ამომხდება!...
 ველის ჭალის ნახვა მინდა,
 ვით ხელი-ხელ გადავაბა!...“

„მინდა ერთი ვინადირო,
 შიგ ნადირი მეგულებ.“
 ინადირეს ველის ჭალა,
 შიგ ნადირი არ დადგება.

იქ რომ ერთი ალვის ხე დგა,
 უსურ ვაზი ესვევება;
 ჩაჰკრა ხელი, ჩამოწყვიტა,
 ის ტურფა ვაზი იქნება.

—ძმაო, აბელ, შენ მიეკარ,
შენ თავი გეყმაწვილება!...
აღღინა აბელ, მიაკრა,
იწევს, —ვერ გაუწყვეტნია.

—მოდი, ძმაო, გამომიშვი,
სისხლი ყელში მამადგება...
—„მანამდინ ეგრე იწიე,
მანამ სული ამოგხდება!“...

კაენ აბელს რად აუშვებს,
სასიკვდილოდ ენდომება!...
ე დაწყველილი ეშმაკი
ყვავისა ფრად ეჩვენება!...

ერთმანეთს ჭიკით ყელს სჭრიან,
ცვარი სისხლი არ ვარდება...
მეუფემ გადმოიხედა, —
ის ხომ კაენი იქნება.

—კაენ, აბელ რად მოკალი?
შენი პირიც გაშავდება!
—„მე აბელი არ მომიკლავს,
ალარც ძმათა მესხენება!“

—საითაც რომ გაიარო,
ადგილ-ბალახი გახშება;
სადაც კი რომ დაგეძინოს,
თავ ქვეშ ცეცხლი გაგიჩნდება.

„მეტის-მეტი ცოდვისაგან
თავზედ რქა გაგეზარდება;
წინ წყალი და უკან ხმალი,
ორივე შენ მოგადგება.

„ათას-ხუთასს წელიწადსა
სიკვდილი არ გელირსება;
ვინც შენ საკვდილსა გალირსებს,
შენი ცოდო დაედება“.

მისრის ქალაქის ხელმწიფე
სანადიროდ ემზადება;
ინადირა ქალა-ქულა,
შიგ ნადირი არ დახედება...

ე დაწყველილი კენი
ირმის ფერად ეჩვენება.
აქეთა ჰკრავს შვილდ-ისარსა,
იქით ფერდსა გავარდება.

კენი მაღლა შეხტება,
ადგილ სული აღარ დაჰყვა;
მოსწია შვილდს და გატეხა:
— ეს ტიალი რას მიშვრება?

ყმაწვილი შინ გამობრუნდა,
პირზე ფერი არ შერჩება;
წინ ქალი შემოეყარა:
— ყმაწვილი რად მობძანდება?


— „ი დაწყველილი კენი
აკი მე შემომაკვდება.“
ორმოც დღეს დადგა, ილოცა,
მუხლზედ ტყავი არ შერჩება.

ჯოჯოხეთისა კარები
სწორედ ამ დროს გაიღება,
ეს დაწყველილი კენი
საუკუნოდ იქ დარჩება.

ს ა წ ე ა ლ ი კ ა ც ი ს ა მ ბ ა ვ ი

ზ დ ა ზ ა რ ი

(გაგონილი სოფელ ქიწინისში, გორის მაზრაში).



ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საწყალი კაცი, დადიოდა გზებზედ და იძახოდა: „ჰკუა მაქვს და სარჩო არაო, ჰკუა მაქვს და სარჩო არაო.“

გაიგონა ერთმა სოფელდგარმა და იფიქრა: „მოდი ერთი, ორას-სამასი თუმანი ვითომც წყალში გადამიყრია, ავიღებ, მივცემ მავ კაცს, და აბა თუ ჰკუა აქვს, მაშინ გამოჩნდებაო.“

სოფელდგარმა დაიბარა ეს გლეხი კაცი, მისცა ორასი თუმანი და უთხრა:

—აი, ეხლა სოფელდგარები სავაჭროდ ემზადებიან, და შენც უნდა წახვიდე იმათთან და ივაჭროვო.

—კარგიო, — უთხრა საწყალმა კაცმა.

როდესაც ეს კაცი მივიდა სოფელდგარებთან, იმათ დაცინვა და უწყეს:

—შენმა მზემ, შენს აღას ერთი-ოთხად მოუტანო! რამ გააგიყა ის სოფელდგარი და რამ მიაცემინა ამისთვის ფულიო?!..

საწყალმა კაცმა ჩაიცინა თავისთვის. სოფელდგარები მალე გამგზავრდნენ სავაჭროდ, და გაჰყვა თან ეს საწყალი კაციც.

ზღვასთან რო მივიდნენ, სოფელდგარები ჩასხდნენ ხომალდებში, და ამ საწყალმა კაცმა კი სთქვა:

—არა, ძმობილდებო, მე ზღვას ვერ ვენდობიო.

იყიდა ერთი პატარა ნაფე, ჩაიდგა სამი-ოთხი ტომარა ჩამიჩი, ჩაჯდა და კიდის ახლო დაიწყო ცურვა, თან ჩამიჩს სჭამდა. ერთი მჯილი (მუტა) ჩამიჩი რომ შეეჭამნა, მეორეს ზღვაში გადაჰყრიდა. საწყალის კაცის ნავს გარს თევზები ეხვიენენ და გაჩქარებით ჰყლავადნენ ტკბილ მარცვლებს. დიდხანს აჭამა თევზებს ასე ჩამიჩი.

—მე რომ ვქამ, სხვებმაც ქამონო,—ამბობდა საწყალი კაცი.
 ბოლოს თევზებმა სთქვეს:

—მოდ, ეგ რომ ხმელეთის ნაყოფს გვაქმევს, ჩვენც ზღვის სი-
 მდიდრე გადუყუაროთ, იქნება გამოადგესო.

დაყურყუმელავდნენ თევზები ზღვაში და ცოტა ხანს შემდეგ
 ამოიტანეს თვალ-მარგალიტით სავსე პირები და გადმოუყარეს საწყალ
 კაცს მშრალზე. საწყალმა კაცმა უჯრო ბევრი ჩამიჩი ჩაუყარა.
 უზიდეს და უზიდეს თევზებმა თვალ-მარგალიტი და ააგროვეს მთასავით
 კიდევდ.

საწყალმა კაცმა იფიქრა:—ჩემი ამხანაგები რომ მოვლენ და
 ნახვენ ამ სიმდიდრეს, მომკვლენ და წაიღებენ, თუ არაფერი ვიღონო.

ადგა ეს კაცი, აიღო პატივი, გააკეთა ჯამებივით, ჩაყარა შიგ
 თვალ-მარგალიტი, დაათარა ზევითაც პატივი და ისე გაახმო წივად.
 პატივი რაკი გახმა, ამ კაცმა აიღო, ჩააწყო ყუთებში და ოთხი საპალ-
 ნე პატივი ცარიელა წივა შეკრა, და მოვიდნენ სხვა სოცდაგრებიც. ზოგს
 მაუდი ეყიდა, ზოგს ფარჩა და ზოგს სხვა-და-სხვა საქონელი. სოვ-
 დაგრებმა რაკი ნახეს საწყალი კაცი და ამის წივა, დაუწყეს თავში
 ცემა:

—შე ოხერო, თუ შენი თავი არაფრად გეზოგებოდა, აღის ფუ-
 ლებს მაინც გაუფთხილდებოდი, რად გინდოდა, რომ პატივი აქედგან
 არ წაგეღო, ჩვენს ქალაქში კი ცოტა არისო!

საწყალმა კაცმა უთხრა:—მე ეს მინდოდა და ეს ვიყიდე, თქვენ
 რაც გინდოდათ, ის ივაჭრეთო.

შეკაზმა აქლემები, ჯორ-ცხენები, აჰკიდა ეს საპალნეები და გა-
 უდგნენ გზას. მთაზედ სოცდაგრებს თოელი მოუფიდათ. საწყალმა
 კაცმა მოჰხადა წივიანი ორი საპალნე, ააგზნო ცეცხლი, შემოუმწკრია
 ირგვლივ აქლემები, ყუთები და ჩამოჯდა თვითონაც. სოცდაგრები
 სიცივით გაიყინნენ და დაუწყეს ხვეწნა წივის პატრონს:

—გვასესხე ერთი-ორიოდე საპალნე წივაო!

წივის პატრონმა ცივი უარი უთხრა:—თქვენც საქონელი გაქვთ,
 გადმოიღეთ, დაწვით და გათბითო.

სოცდაგრებმა დაუწყეს ხეწნა:—აბა როგორ დავწოთ ნელი, გვასესხე წივა და ქალაქში ერთი ხუთად მოგცემითო.

წივის პატრონმა უთხრა:—მაშ კარგი, თქვენ ხელწერილი მომცით, რომ ისესხეთ ჩემგან ორი საპალნე ამ წივისა, რაც მე მიკიდა აქლემებს, მე მეტი არ მინდაო!

სოცდაგრებმა სიხარულით მისცეს ხელწერილი და გულში კი ლანძღავდნენ. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სოცდაგრებმა გაგზავნეს კაცები ქარვასლების დასაქირავებლად. წივის პატრონის სოცდაგარს კი შეუთვალეს, რომ შენს ჭკვიანს კაცს პატივი მოაქვს შენის ორასის თუმნისაო. აღას საწყალ კაცისაგან წინაღვე ჰქონდა ნათქვამი, რომ სანამ შენის თვლით არა ნახო და შენის ყურით არ გაიგონო, ნუ დაიჯერებ, რომ ჩემხედ რამე გითხრან,—ცილის წამება იქნებაო. საწყალმა კაცმა გამოუკვანა აღას კაცი და შემოუთვალა: რომელიც კარგი ქარვასლა არის ქალაქში, ის დაიქირავეო.

დაიქირავა საწყალი კაცის აღამ ერთი უკეთესი ქარვასლა და დაუწყო მოლოდინი თავის მოვაჭრეს. მალე მოაყენა წივით დატვირთული აქლემები ქარვასლას და უბძანა კაცებს, ჩამოეხანათ საპალნეები. აღამ ნახა, რომ იმის „ჭკვიანს“ მართლა წივა მოუტანია და გული ჩასწყდა, მაგრამ მაინც რაღასაც ელოდა და არაფერს ამბობდა. როდესაც დაღამდა, აღამ წაიყენა ეს კაცი სახლში: წავიდეთ, პური ეჭამოთ, დაისვენე, მიამბე, რა გაჰყიდე, რა იყიდეო. ამ საწყალმა აიღო ორი ნაჭერი წივა, გაახვია ერთს ხელსახოცში და წავიდნენ. როდესაც დასხდნენ ვაზშამხედ და სანთლისთვის გავიდა აღა, საწყალმა კაცმა გადატეხა ერთი წივა და თვალ-მარგალიტი გადმოცვივდა. სახლი მხესავით განათლდა.

გამოვიდა აღა და გაკვირვებული თვალმ-დაქვეტილი დარჩა. საწყალმა კაცმა უთხრა:—მე აი ეს მოვიტანე და იმ სოცდაგრებს ჩემი ორი საპალნე ჰმართებთ ამ წივისაო, წავიდეთ, ვუჩივლოთ ხელმწიფესთან და წავართვათო. მართლაც გასწიეს ხელმწიფესთან და მიართვეს საჩუქრად, ერთ წივაში რაც თვალ-მარგალიტი იყო.

საწყალმა კაცმა იჩივლა, რომ მე და ის სოცდაგრები ერთად



ემგზავრობდით, გზაზედ თოვლმა მოგეასწრო, იმათ ჩემგან ორი საპალნე ამ წივისა ისესხეს და ხელწერილიც მომცეს, ეხლა კი აღარაფერს მაძლევენო.

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ სოვდაგრები და უთხრა, რომ ამ კაცისაგან ორი საპალნე წივა გისესხნიათ, ხელწერილი მიგიციათ და ეხლა კი აღარ აძლევთო. სოვდაგრებმა გაიცინეს და მოახსენეს ხელმწიფეს, რომ რად უნდოდა მაგ საწყალს ჩივილი, პატივს თუნდა ერთი ხუთად მივცემთო.

— ეს კაცი პატივს კი არა, ამისთანა წივას გთხოვთო, — უთხრა ხელმწიფემ და აჩვენა თვალ-მარგალიტით სავსე წივა. სოვდაგრებმა უარი სთქვეს, ჩვენ მაგისთანა წივა არ გამოგვირთმევიაო, მაგას ეგ ერთი წივა ჰქონია თვალ-მარგალიტით სავსე და ეხლა ჰსურს, რომ ჩვენ ორი საპალნე მივცეთო.

საწყალმა კაცმა მოახსენა ხელმწიფეს:

— დიდებული ხელმწიფევ! კაცები გამოგვაყოლე, სათითაოდ დავამტვრევთ ყველა წივას, სოვდაგრებიც იქ იქნებიან, და თუ ყველაში თვალ-მარგალიტია, ხომ უნდა გადმიხადონ, თუ არ არის, და მე თავი მოშუქებითო.

ხელმწიფემ გაატანა კაცი და დამტვრევს სათითაოდ ყველა წივა. ყველა თვალ-მარგალიტით იყო სავსე. რაღას იზამდნენ სოვდაგრები. იმათი სარჩო ნახევარ საპალნის ფასიც არ გამოვიდა, და ამ საწყალმა კაცმა ეს სოვდაგრებიც მონებად წაიყვანა.

ნატარ-ნატარ

საძეცნიერო წერილები

წილი III



საუკუნეო კოტე! იმ დღეს მასწავლებელს ვთხოვე, ი კოტეს რა გაუუჭებულ ჭაერსე ბასს და ვინდით, აბა ერთი მასწავლეთ რაჲე, რომ მეც მივწერო-მეთქი. იცი რა მითხრა?

მე დიდად მოხარული ვარ, ჩემო ილიკო, რომ ცნობისმოყვარეობა აღვიძარო და ძიების და კვლევის ხალიხი ვაკვლიძაო; მართლა და აბა რა კაცი, იეოს სოფელში და სოფელი კი ვერ სცნოსო.

მერე ჩამოიღო თაროდგან დიდრონი ფერად-ფერადი ედიანი წიგნები, გადაძალა, გადმოძალა და მითხრა:—ახარებითა სოფელი აწავის უძენებიაო. გაუუჭებულ ჭაერსე რა გვარ უნდა ვიბასოთ, როდესაც ჯერ თითონ ჭაერს სეირიანად ვერც-კი ვიცნობთო, და მეტადრე იმ ხვენ ნაცნობ მკვამბდს კარგად უნდა დაუუძეგობრდეთო.

ბოლოს დამიწყო ბასი, მასწავლა, რითიც არის ჭაერი შესავებული, და მერე რადაცნაირი შუშები მახვენა, სწორედ ავირო გოგონას ჰკვანან: მუცლები ვამოჭებერთაო, კისერი სოკს წოწოლად აქვს ასული, სოკს მოჭერესია. მე თვალეხი ვამოვამტერე და როცა მითხრა, ესენი ქიძიაში სახმარებელი შუშები არიანო და ამათში, რასაც ვინდა, ისე ავადულებ, როგორც სწილენძის ქვამბიო, —მამინ კი ცოტა



ქართული
ლიბრელო

არ იყოს ეჭვები შევედი და ჩემ გულში ვამბობდი: ბოლოს, ე ფიცით კი მწამს, ძარბა ბოლო მაკვირვებს-მეთქი.

მაგრამ, რა ძმაო, მასწავლებელმა შემომხედა თუ არა, თითქოს თავლებში ამოიკითხაო, რომ მე არ მჯეროდა, და მაშინადვე ჩამოიღო ზატარა ჭრახვი შუშისა, რომელშიაც ქონის მაგივრად სწირტი იყო ჩასხმული, გაჭკვრა წუმწუმას, მოუკიდა სწირტს, ავარდა ალი, მერე ი ავირო შუშაში ჩასახსა წყალი და ისე აჩუხჩუხა ამ სწირტის ალსე რომ შენი მოწონებული, — გეგონებოდა, ჩვენ შუა ცეცხლზე სწილენძის ქვაბით წყალი შემოუღებოდა!

ახლა, ძმაო, გინდ დაიჯერე, გინდ არა! იცი, კოტე, იქვე თაროსე რაღაც ნაირი შუშის ლულები ეწეო, ისეთები იყვნენ, გმელ-გმელი! გულში ვიფიქრე, — ნეტა ერთ-ერთი ჩემი ქმნა, ძამა ჩემს წაუღებდი, ჩიბუნის ტარად რა კარგი იქნებოდა-მეთქი. ერთიც მოკლე ნატეხი ეგდო, სუღამა წამძლია და ის იყო კინაღამ ვსთხოვე, — უნდა სწლამური გაძეკეთებინა.

სუმრობა იქით იყოს, კოტე, და საქმე თურმე აი რა-ში ეოფილა:

სომ განსოვს, ძმაო, ი დიდ სამტრეხში შუა ცეცხლზედ რომ თითქმის მთელი ძარბაილი შექმნა დავაფრიდით, ან კიდევ, თავლის ბუნარს რომ რცხილის შემით ზირთაძვე გამოუჭედავდით ხოლმე, და მთელი დამე ცეცხლს გუგუნე გაჭქონდა, და თედია კიდევ რო ასარ-ბასარის სდარბით გვართობდა. ისიც გენსომებ, ერთხელ რომ დილის სუსნმა მოკიჭირა, წამოჭხტი, ბუნარს მიჭვარდი და ბუნარი კი ცალიერი დავიხვდა. განსოვს, გაჯავრებულმა წამოიძახე: ე

ოხერი ბუნარი თითქო წუხელ ძალსე გამოუჭედო და იმდენი შემა სად ჯანაბას გაქრაო!?

მაშინ შენც აშკარად ხედავდი და მეც, რომ იმოდენა შემიდგან ბუნარში მხოლოდ რამდენიმე მუჭა ნაცარი და ნახშირი-ღა დარჩა, დანარჩენი კი დაიკარგა, სადღაც გაქრა, გაფრინდა. მასწავლებელმა კი დამიმტკიცა, რომ, შეშას, თუ სხვა რამ ნივთიერებას, როცა იწვის, არა აკლდება რა-კი, ზირიქით ემატება კიდევცაო.

მაგალითად, თუ ერთი მხარი შემა ერთ ფუთს იწონს, როცა დაიწვის-დანაცრდება, იმ ერთს ფუთს კიდევ რამდენიმე გორვანქა მოემატებაო. ამის დასამტკიცებლად, საჭიროა, აიწონოს ნაცარი და ბოლი, რადგან ჩვენი შემა კი არ დაიკარგა, მხოლოდ ბოლად და ნაცრად გადაიქცაო.

ამ კვარადვე, როცა იწვის სანთელი, ნახშირი და სხვა, წონაში მატულობენო.

ვსთქვამთ, ჩვენი სანთელი იწონს ერთ გორვანქას. აუხართო და ვეცადოთ, რომ მისი ალი ერთი ნამცეცაც არ დაგვეკარგოს. ამისთვის შეიძლება აღსე შემოდგან შუშის ქილა ჩამოვაცვათ, მაგრამ ეს ქილა გამოწონილი კი უნდა იყოს. როცა სანთელი სრულებით დაიწვის, ქილა მჭკვარტლით გავისება და ახლა რომ ავწონოთ, აღმოჩნდება, რომ ქილისა და სანთლის წონას კიდევ რამდენიმე მისხალი მოემატაო.

გაგვიკონება, რომ რკინა სისველეში, ნოტიო ადგილას ქანგდება და როცა მჭედელი ქურაში რკინას ასურებს, რკინას წიდა დაეფინება სოლდე. რომ ავწონოთ ჯერ დაუქანებელი რკინა და მერე იგივე ნაჭერი დაქანებულის ავწონოთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენი ნაჭერი რკინა ქანგმა დაამძიმა.



აგრეთვე, მიეცით მჭედელს ერთი გირვანქა დაუქანებელი ბელი რკინა და, როცა განსურებს და რკინა წიდათი დაიფინება, ახლა ძაძინ აწონეთ, — აღმოჩნდება, რომ ერთ გირვანქას კიდევ რამდენიმე მისხალი მოემატაო.

რკინას, ფოლადს, სპილენძს და სხვა ამ გვარებს (ოქროს ვარდს) ქანკი ისე ცეცხლად ედება, რომ, რაკი მოეკიდება, ვიდრე სულ არ შესჭამს, თავს არ დაანებებს. იმ რკინის ან სხვა რამ ნაჭრის მაგიურად, ხელში დაგვრჩება მუქი, აგურის ფერი მტვერი. ის რკინის ნაჭერი რომ აგვწონა და ახლა ეს მტვერი ავწონოთ, აღმოჩნდება წონის მომატებაო.

მაგრამ იმავე რკინის ნაჭერს თუ ლაქა წავუხვით, ან წვალში შევინახეთ (წვალი ნაღული უნდა იყოს), ისე რომ ჭაერი ვერ ეკარებოდეს, ძაძინ ჩვენს რკინას ან სხვას ამის მაკვარს ქანკისაგან დავიფარავთო.

აქედან ამკარად სჩანს, რომ, შემა, სანთელი, ნახშირი და სხვა რამ, როცა იწვის, ჭაერიდგან რაღაცას იხიდავს, რომელიც დაწვასაც ეხმარება და წონასაც უმატებს. როცა რკინა ან სხვა რამ ამის გვარი ქანკდება, ჭაერიდგან რაღაც უხილავი ნივთიერება ცეცხლივით ედება და წონასაც უმატებს. მჭედელი რომ ქურაში ახურებს რკინას, ჭაერიდგან რკინას რაღაც მოემატება სოღბე, რომელიც ჩვენ წიდას კვამლევს. მჭედელმა რომ ერთი რამ რკინის ნაჭერი სულ ახუროს და კვეროს, ახუროს და კვეროს, ბოლოს იქამდე მივა საქმე, რომ იმისი სავწელი რკინა სულ წიდათ გადაიქცევაო.

ტყვიან დანით რომ ვასჭრი, ახლად ვაჭრილი ნაჭერი სარკესავით წმინდაა და ბრჭვეილს დაიწვებს სოღბე. ცო-

ტა ხანს შეძევს რო დაჭხედო, სიბრჭყვიალე სრულებით
 ეკარგება და ნისლივით რაღაც ედება. ეს მოვლენა სრუ-
 ლებით მშრალ ჭაერშიაც მოხდება ხოლმეო.

ერთის სიტყვით, ძმაო, ამ გვარ მკვლავთებს ბევრს
 მოვიყვანდით, მაგრამ, რაც ვსთქვი, მგონი, ესეც საკმაოა.

ამ ასიოდუ წლის წინეთ სემოდ ჩამოთვლილი მკვლავი-
 თები ეკვლას კასაოცრად მიახნდა, მაგრამ მეცნიერი კაცები,
 ჩემო კოტე, ერთხელ და ერთხელ რასაც გამოეკიდებიან თურმე,
 ცნობისმოყვარეობა აღარ აძლეუთ მოსვენებას და სულ მი-
 ებასა და კვლევაში ატარებენ თავიანთ სიცოცხლეს.


წინეთ ეს მეცნიერებიც უკხო-უკვლოდ ბნელაში დახე-
 ტიალობდნენ და ღობე-ფორეს ედებოდნენ თურმე, ვიდრე ერთმა
 გამოჩენილმა მეცნიერმა ფრანგმა, გვარად ლავუაზიემ, არ
 აღმოაჩინა ნამდვილი გზა და კვალი და არ მოჭყინა ნათე-
 ლი წინანდელ სიბნელეს.

რა სურნით მიაგნო ამ უკვდავმა მეცნიერმა ნამდვილი
 გზას, ამას შეძევს წერილში გაიძობო.

გულს ნუ გაიტყვს, ჩემო კოტე, მხნედ იყავ! ძართალია,
 მე და შენ მეცნიერები არა ვბრძანდებით (კუმ ფესი გამო-
 ეო, მეც ნახირ ნახირო!), მაგრამ, ძმაო, ვინ დაგკმრახავს,
 რომ ჩვენც ვცდილობდეთ მეცნიერების შუქით გულის მო-
 თობას.

დავშობი შენი ერთგული ძმა ილიკო

გელათის მონასტერი



ელათის მონასტერი ყოველის ქართველისათვის სანატრელი სასოფარია ძველის დიდებულის საქართველოს მოსაგონებლად. ეს დაგვრჩენია ცოცხალ სურათად, რომელიც

ნათლად გვიხატავს საქართველოს ძლიერებას და იმის უმაღლესს განათლებას. როცა ძლიერი მაჰმადიანობა შემოესია საქართველოს და თან-და-თან აიკლო მისი ქვეყნები აზრუმიდან და ანაკოფიდან მოკიდებული, მაშინ ქართველები თავის ძვირფას ხელოვნების საუნჯეებს და დიდების ნიშნებს ამ მონასტერში აგროვებდნენ, რომ მათს შთამომავლობას, დღევანდელს ქართველებს, სასოება არ დაკარგვოდათ და წინაპრების მაგალითით გაემხნევიანთ თავი.

ვისაც გელათის მონასტერი და იქ დაგროვებული ოქრო-ვერცხლის ხელოვნება, თვალ-მარგალიტით შემკული ხატები და აბრეშუმის მტკიცე ქსოვილები უნახავს, მაშინვე იტყვის: მართალია, დღეს ჩვენი ვინაობა აღარავინ იცის, მაგრამ რომელმა ერმაც ამდენი დიდებული ძეგლები დასტოვა, არ შეიძლება, რომ მისმა შთამომავლობის თესლმა კიდევ არ გაიხაროს და კიდევ არ ისახელოს თავი მომავალ საუკუნეში.

მაგალითად აქ არის დავით აღმაშენებლის დიდი ჯვარი, რომელიც მთავარ-ეპისკოპოსს ჭკონდიდელს ეჭირა ხელში ბრძოლის დროს. ეს ჯვარი ეგო თავზე მეუის დროშას და ბრძოლის დროს

წინ უძლოდა. ჯვარზე მშვენიერი ხუცური ხელით ასე აწერია:
„ღმერთო, ადიდე დავით—მეფე აბხაზთა, სვანთა, ქართველთა,
ლეკთა, მზე ქრისტიანობისა“.



დავით აღმაშენებელი

დავით მეფეს ჰქვია აღმაშენებელი, მისთვის რომ იმან სეღჯუ-
კებისგან დაქცეული საქართველო ხელახლა წამოაყენა და განაძლიე-
რა, დანგრეული ეკლესიები განაახლა, წამხდარი სარწყავი რუები და
არხები ისევ გააკეთებინა, ასე გაშინჯეთ, თევზებიც კი მოაშენა სა-
ქართველოს წყლებში. რაც ამერეთში (ქართლ-კახეთში) საუკეთე-
სო გვარის თევზები იყო, იმერეთის მდინარე წყლებში გადაასმეინა,



რომ ხალხი ყოელის ფრით გამდიდრებულიყო, გამრავლებულიყო და კარგი ბედნიერი ცხოვრება ჰქონოდა.

იმაზედ აი რა ლექსია ნათქვამი:

„როს ნაქარმაგვეს მეფენი
 შვიდნი მეფურად დამესხნეს,
 თურქნი, სპარსნი და არაბნი
 საზღვარსა გარე გამესხნეს, —
 თევზი ამერთა წყალთაგან
 იმერთა წყალთა შთამესხნეს;
 ამა საქმისა მომქმედსა
 გულზედა ხელი დამესხნეს“.

ნაქარმაგვევი ერთი სოფელია გორის მაზრაში, სადაც მეფე საზღვრულადაა ბრძანდებოდა. იქ შვიდი მეფე თავის ჯარებით თავს დასცემია; დავითს გაუმარჯვნია მათზე და საზღვარს გარეთ გაუყრია; მერე კი ქვეყნის კეთილ-მდგომარეობისათვის უზრუნავს, ასე გაშინჯეთ, წყლებში თევზის გვარიც კი მოუშენებია. მაგრამ უწყალო სიკვდილს ამ დიდებული კაცისთვისაც გულზე ხელი დაუკრებინებია.

მეფე დავით აღმაშენებელმა ნახევარი სომხითიც კი აღადგინა აზრუმადის და დოვინადის. დოვინის სულტანზე გაგზავნა თავის შვილი დიმიტრი, სულტანი ტყვედ წამოიყვანა, მის სატახტო ქალაქს რკინის ალაყაფის კარები მოხსნა და გელათს დააყოდა: ნახოს ჩვენმა შთამომავლობამ, როგორი გმირობა გადაგვიხდიაო, უყურონ შვილებმა ამ ჩვენს მაგალითს და თვითონაც ასე იშრომონ ქვეყნის გულსთვისო.

დღეს გელათში მარტო ცალი რკინის კარია აყუდებული დავით მეფის სასაულაო-სამლოცველოში. ეს სამლოცველო ახლა ძალიან გაუპატიურებულია; ვინ იფიქრებს, თუ ამ უბრალო საფლავის ქვას ქვეშ განისვენებს ძელები დიდებულის გმირისა. საფლავის ქვაზე ძლივს-ღა ეტყობა ხუცური ასოებით ზედწარწერა:

„ესე არს განსასვენებელი ჩემი,
 რომელსა შინა დავიმკვიდრო მე“....

უბრალო ხალხს ძალიან უყვარს ამ სამლოცველოში სიარული და, როცა ჰხედავს ქვაზე რგვალ ამოჭრილს ხუცურს ასოებს, ამბობს: ეს ზედწარწერა კი არ არისო, ეს არის დავით აღმაშენებლის ჯორის კვალიო. გელათის სანახავათ როცა დიდი ბატონი მოვიდოდა, ეზოში ამ ალაყაფის კარებით შედიოდა ჯორზე მჯდომარეო, და ჯორს ქვებზე თავის ფეხის კვალი დაუჭენიაო.

დავით აღმაშენებელმა რომ საქართველო განათავისუფლა მაჰმადიან სელჯუკებისაგან, შემდეგ მიჰყვა კვალ-და-კვალ და სომხითიც აღადგინა. მაშინ ჩრდილოეთის სომხითი საქართველოს ეკუთვნოდა. ყარსის მახლობლად დღესაც არის ერთი დიდებული სომხის ტაძრის ნანგრევი, რომელსაც ეძახიან ანის ტაძარს. ამ ტაძარში ემარხა სუმბათ მეფის დედა. სელჯუკებს ეს ტაძარი ბოსლათ გაეკეთებინათ და შიგ ცხენები ჰყავდათ დაბმული. წმინდა ტაძარი უპატიურობით იყო გავსებული.

როდესაც დავით აღმაშენებელმა სელჯუკების თესლისაგან სრულებით გასწმინდა ქვეყანა, ანის ტაძარი განაახლებინა, ხელმეორედ აკურთხებინა და შემდეგ ძლიერ-მოსილი ჯარით შევიდა შიგ პარაკლისის გადასახდელათ. პირველათ შეატანეს სამეფო დროშა, რომელიც ზევით მოვიხსენე, დროშას მიჰყვა დავით მეფე. იგი გაემართა დედოფლის საფლავისაკენ და შესძახა:

„გიხაროდენ, დედოფალო!....“

მოისრა მტერი ქრისტიანობისა


და განიწმინდა განსასვენებელი შენი უსჯულოებისაგან“.

თურმე მაშინვე მოისმა ხმა სამაროდან:

„მადლობა ღმერთსო“!...

II

გელათის ტაძარში მრავალი შესანიშნავი ხატები და ისტორიული სახსოვრები არიან მოტანილნი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან შიშიანობის დროს. აქ არის ძვირფასი თვლებით შემკული დიდი ოქროს ხატი ბიჭვინტის ტაძრის ღვთის-მშობლისა, აწყვერის



ღვთის-მშობლისა, ღვეთ ნარინის მიერ შეწირული ღიღი მაცხოვრის ხატი, ბაგრატ მეოთხის საღროშო ოქროს ჯვრები, ძვირფასი ქვებით და სამეფო ბეჭდებით შემკული. ქუთაისის ბაგრატ მეფის ტაძრიდგან წამოღებული ღვთის-მშობლის ხატი, რომლის წინაშე მეფე ბაგრატ გვირგვინით და პორფირით შემოსილი მუხლ-მოყრილი დგას და ევედრება ღვთის-მშობელს. ხატს ჰქვია სახელად: „ვედრებისა ღვთის-მშობელი“.

მრავალი აბრეშუმის ქსოვილებით დასურათებული და თვალმარგალიტით შემკული ძველი ქათალიკოსების სამოსელია ოქრომკედით ნაქსოვი და ამ გვარივე მიტრები ძვირფასი ქვებით შემკული; მაგრამ ყველაზე შესანიშნავი არის ერთი მეფის გვირგვინი, დარჩენილი ღიღებულის ღროიდან, ექვსის აღმასის ჯვრით, მორთული გვირგვინის კუთხეთა ნაწიბურებზე.

ხელოვნებით და ისტორიული მნიშვნელობით ხახულის ღვთის-მშობლის შემკულებას მაინც არა შეედრება რა. სამწუხაროდ თვით ღვთის-მშობლის ხატი გაძარცვულია და, როგორც იმის ბუდის კარებზე შედწარწერა აცხადებს:—„ხოლო ახალმა ვესელეილ სოლომონ ღიმიტრიმ სამყაროსაებრ აცისკროვნა მორფი შენი...“, ესე იგი, მეორე სოლომონ ბრძენმა, ღიმიტრი მეფემ, ცის გუმბათსავით განაბრწყინა სახე შენიო.

1859 წელს საშინელი ამბავი მოხდა გელათის მონასტერში. ამ წელს ღვთისაგან შეჩვენებულმა ბოროტმა კაცებმა ქურდულათ გამოიღეს ბუდიდან ხახულის ღვთის-მშობლის ხატი და ეს ძვირფასი ხელოვნებით შემკულობა, სადაც მრავალი ხელოვნური მინანქრის სურათები და ძვირფასი ღიღ-ღიღი აღმას-იაგუნდები ხასხას ოქროს ქედილში იყო ჩასმული, სულ ერთიანათ გაძარცვეს, რომელიც იქნება მილიონზე მეტად ღირდა, და თვით ხახულის ღვთის-მშობლის ხატის ფიცარი, რომელზედაც ღვთის-მშობლის სახე იყო დახატული, შუაზე გატეხეს.

მეორე ღღეს შეიქნა ღიღი მწუხარება, ხახულის ღვთის-მშობლის ხატი დაიკარგაო!... ორი ღღე ეძებეს და ველარაფერი კვალი

ველარ ნახეს; მხოლოდ ერთი დედალი ქათამი რაღაც კრიახ-კაკანით ატყდა და ასე ეგონათ, თითქოს ცოფი მოერიაო. გამოუდგენ ამ ქათამს; ქათამი წინ წაუძღვა ბერებს და ერთს ხევში მიიყვანა, სადაც ხახულის ღვთის-მშობლის ხატი დაუხვდათ გაძარცვული. ქურდებს სულ ქვა და კვერი ეცემათ, რომ ოქროს ნაჭედი და თვლები ამოეგლიჯათ ხატისათვის. იქვე ხატთან დიდი იაგუნდის თვალა ნახეს დაგდებული. წამოასვენეს ხატი და შემდეგ ისევ ოქროთა შეჭედეს მოსკოვის საზიკოვას ქარხანაში და გვირგვინში ჩაუსვეს ის ერთი იაგუნდი; ორი მისი ტოლი სხვა ქვა დაიკარგა. ერთს ერქვა „ობოლა“, მეორეს „შვადეგა“ და მესამეს „კედელა“. ორი მათგანი იაგუნდისა იყო და ერთი აღმასისა; თითო იყო ვარის კვერცხის ტოლა.

ეს სამი ძვირფასი ქვა თამარ დედოფლისაგან ჰქონდა ხახულის ღვთის-მშობელს შეწირული. დღეს მხოლოდ ერთი მათგანია დარჩენილი, ორი სხვა, როგორც ვთქვით, ქურდებმა წაიღეს; იმათ მაგიერათ ორი დიდი ქვა აქვს დღეს ხახულის ღვთის-მშობელს გვირგვინში ჩასმული; მაგრამ ისინი ნამდვილნი არ არიან. დღეს ძვირფასს ისტორიულს ნაშტს შეადგენს მხოლოდ ხახულის ღვთის-მშობლის ბუდე, რომელიც ოქრო-გრეხილებით არის გაკეთებული და შიგ მრავალი ძველი მოზაიკით ნაკეთები მინანქრის ხატებია ისეთი ხელოვნებით შეწყობილი, რომ ამისთანა ხელოვნება დღეს მოუხერხებელია. ჩვენის დროის ევროპის ხელოვნება ამას ვერ მისწვდება.

ახლა მოგიტხრობთ იმ სამის ქვის ამბავს.

ერთხელ თამარ დედოფალი ძეგეს ბრძანდებოდა საზაფხულო სასახლეში. ჯარის ნახვა იყო დანიშნული. დედოფალი იკაზმებოდა სამხედროთ. ამ დროს სასახლეს მოადგა ერთი მათხოვარი. დედოფალს მოახსენეს ეს ამბავი. ბრძანა, მოითმინოს, სანამდის მოვირთვებოდნო. ცოტას ხანს შემდეგ გამობრძანდა დედოფალი და მოიკითხა გლახაკი მოწყალეების მისაცემათ. მოახსენეს, წავიდაო. შესწუხდა დედოფალი და ბრძანა, უსათუოდ მონახეთ და მომიყვანეთო. ბევრი ეძებეს, მაგრამ გლახაკი ველარ ნახეს, თითქოს დედამიწის ზურგიდან გამქრალიყოს.



მაშინ ბრძანა დედოფალმა: — „ჩემს თავს კარგი არა სჭირს რაო, რომ დღეს გლახაკი უმოწყალოდ წავიდა ჩემის კარიდანაო“, — მონიხნა თავზე გვირგვინი, გამოიღო იქიდან სამი ძვირფასი დიდი თვალი, რომელნიც მის გვირგვინს ამშვენებდნენ: „ობოლა“, „შვადეგა“ და „კედელა“, და გადისროლა მტკვარში ამ სიტყვებით: „ღმერთო, ეს სამი უძვირფასესი თვალი ჩემის გვირგვინისა იმ გლახაკს სამოწყალოდ შეიწირეო“!

მესამე დღეს დედოფალმა გამართა მეჯლიში თვის სასახლეში. მეზადურები წინა დღით წავიდნენ მტკვარზე ახალის თევზის დასაჭერათ. მოხვდა ბადეს ერთი დიდა ჭნარი, რომელსაც მუცელში უნახეს დედოფლის გვირგვინის სამი ქვა და მოართვეს მეფეს. თამარ დედოფალმა დიდათ განიხარა, რადგან ეს ღვთისაგან სასწაულად მიიძინა. „ღმერთმან შეპინდო, რომ გლახაკი ჩემის ამაოდ-მოყვარებისათვის ხელცარიელი გაეუშვიო. ხახულის ყოვლად წმიდა ღვთისმშობელო, შენ უფრო გეკუთვნის ეს სამი პატიოსანი ქვა, ვიდრე მე, ცოდვილს დედაკაცსო“!

ამას შემდეგ ეს სამი ქვა ჩასვეს ხახულის ღვთისმშობლის ოქროს გვირგვინში.

გელათის საკურთხეველის გუმბათზე ერთი დიდი სურათია ძვირფასი ფერად-ფერადი ქვებით შეწყობილი, რომელსაც მოზაიკას, ანუ სოფიის ქვის სურათს ეძახიან. იქ არის ღვთისმშობელი მდგომარე, რომელსაც ძე ღვთისა — მაცხოვარი ხელში ჰყავს აყვანილი. მარჯვნივ და მარცხნივ მისა დგანან მთავარ ანგელოზნი მიხაილ და გაბრიელ, ძალნი ქერობინთა და სერაბინთა.

ეს ძვირფასი სურათი, როგორც ამბობენ, კაპადოკიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა ძღვნათ მოართვა თამარ მეფეს, რომელმაც თავის ჯარით დაიპყრო მცირე აზია, დაარსა კაპადოკიის იმპერია და იქ გაახელმწიფა ალექსი კომნენოსი.

იქვე გელათის მონასტერში თამარ მეფეს შემოუწირავეს ხახულის ღვთისმშობლისათვის ბაღდადის ხალიფის დროშა, რომელიც მან წაართვა ნურრედინ სულტანს, როცა იგი დაამარცხა და მთელი მაჰმადიანობის ძალი შეასუსტა.

დღეს ეს დროშა აღარ არის. ამბობენ, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, როცა ოსმალები შემოესივნენ იმერეთს, ქუთაისი დაიპყრეს



და გელათის ტაძარი დასწევს, მაშინ ოსმალებმა უკან დაიბრუნეს ეს დროშა.

ამბობენ აგრეთვე, რომ თამარ მეფეც გელათის ტაძარში მარხიაო, თუმცა სახელდობ დღემდის ვერ მიუგნიათ მისი საწარხი. როგორც დავით აღმაშენებელზე, მაზედაც გამოთქმულია შემდეგი ლექსი:

თექვსმეტის წლისა შევიქმენ,
თავი ზეცამდის ავიღე,
ისპაჰანს დაედეგ ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრ ზღვაში პალო ჩავადე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე;
ამა საქმისა მომქმედმა
ცხრა აღლი ტილო წავიღე.

ამ ლექსში თამარ მეფის ცხოვრება, მისი მოქმედება და მისი ძლიერება მოკლეთ არის გამოთქმული. როცა ის თექვსმეტის წლის შეიქნა, მამა მისმა, გიორგი მეფემ, გვირგვინი დაადგა და მეფედ აკურთხა. მას აქეთ იმისი სახელი ქვეყნათ მოეფინა. სპარსეთის შახი დაამარცხა, მისი სატახტო ქალაქი ისპაჰანი აიღო და გადასახადი ბეგარა შეაწერა; თეთრ ზღვამდის, ესე იგი კასპიის ზღვამდის, დაიჭირა მთელი კავკასია და შიგ რკინის პალო ჩავადებინა, რომ იმ პალოს აქეთ აღარავინ შეჰდავებოდა, აღარც არავინ გადმოსცილებოდა; მერე მიუბრუნდა ხვანთქარს, ისიც დაამარცხა და მის სატახტო ქალაქს სტამბოლს ხარჯი მოსთხოვა. ასე რომ შავს ზღვასა და კასპიის ზღვას შუა მართო საქართველოს სამეფო იყო გადაქმეული და სხვა სახელმწიფოებს თამარ მეფის ხათრი და შიშიჰქონდათ. მტრობას ველარავინ უბედავდა. მაგრამ უწყალო სიკვდილი ბოლოს ამისთანა სახელოვანს მეფესაც ეწია და ამდენის საქმის მომქმედი დედაკაცი ცხრა აღლს ტილოში გაახვიეს და დედამიწას მიაბარეს.

დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე ორი ნათელი ვარსკვლავია ქართველებისათვის, რომელნიც დღემდის გვინათებენ გზას, თუ საით უნდა გავემართოთ, როგორ კაცურად უნდა ვიშრომოდ! გელათის მონასტერში იმათი ნამოქმედარი და იმათის ცხოვრების კვალი დღესაც ცოცხლათ არის დარჩენილი.

ა ბ რ ე შ უ მ - ი ს ჭ ი ი ს ა მ ბ ა ვ ი

(წერილი მეგობართან)

I



აქრო! მე მინდა დაწერილებით მოგწერო, როგორ მოჰყავთ ჩვენში აბრეშუმი. წელს დედამ აბრეშუმი მოიყვანა და აბრეშუმის ხალათიც შემეკერა.

მიკვირს და გამკვირვებია, ამ პაწაწკინტელა, ფეტვის მარცვლის ოდენა აბრეშუმის ქისის თესლიდგან ესეთი მშვენიერი ზიზია ხალათი როგორ ჩაეცივი.

შენც ძლიერ გაგიკვირდება, რომ გაიგებ აბრეშუმის ქისის ამბავს!


სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა ნაირად მოჰყავთ თურმე ქია. მე როგორცა ვნახე, ისე მოგწერ.

აპრილში დედამ მოიტანა შეკერილი ქალაღი და გაშალა ოთახში. ქალაღში ქისის თესლი იყო. მე ამის მეტად არ მენახა აბრეშუმის ქისის თესლი: პატარ-პატარა ფეტვის მარცვლის ოდენები გამწკრივებული იყო ქალაღზედ.

დედამ მითხრა: — ამ სითბოზედ, შეილო, ეს პატარა თესლები ქიებად გადაიქცევიანო. მე არა მჯეროდა და მოუთმენლად ველოდი, თვალ-ყურს ვადევნებდი, — როდის გადიქცეოდნენ თესლები ქიებად.

დედას სიტყვა ასრულდა და რამდენსამე დღეს შემდეგ ქალაღზედ დაიწყეს ქიებმა ჩუჩუნნი. ჯერ თვალთ ძლიერს ვხედავდით, ისე პატარეები იყვნენ, მერე თან-და-თან გაიზარდნენ.

უნდა გენახა, დედა ჩემი როგორ უვლიდა. როგორც ძუძუ მწოვარა ყმაწვილს, ისე უვურგულეზა. როგორც პატარა ყმაწვილს ლუკმას დაუღეჰვენ ხოლმე, დედაც ისე წერილ-წერილად უმტვრევდა თუთის ხის ნორჩ რბილ ფურცლებს. ქიებიც, როგორც პატარეები, ძლიერს, ნახად შაექცეოდნენ.



დედა დიდ სივუთხილეში იყო, ძლიერ უვლიდა პატარა ქიებს. ბუხსა და ჭიანჭველას არ აკარებდა, რომ პატარა ქიებისთვის არ ევ-ნოთ. მალე დედამ კოკლები იშოვა და ზედ გადასხა.

რაც მეტი ხანი გადიოდა, ქიები უფრო და უფრო იზდებოდ-ნენ. ერთ კვირას შემდეგ ფეხიც აიღვეს—ხან იქით ცოცავდნენ, ხან აქეთ. დღისით სულ მოძრაობდნენ, მოუსვენრად იყვნენ და გაჰქონ-დათ ერთი შრიალი.

მხოლოდ ღამით ისვენებდნენ, იძინებდნენ. ზოგს მალლა აელო თავი და ისე ეძინა, ზოგი დაბლა თავ-დახრილი სულგანაბული იწვა. ინათებდა თუ არა, ისინიც გამოიღვიძებდნენ. თუ საჭმელი არ ექნე-ბოდათ, დაიწყებდნენ ტრიალს. დედა მაშინვე ძველ ნაჭამ ფოთლებს გამოუცვლიდა და ახალს დაუყრიდა.

ახლა უნდა გეყურებინა იმათ სვირისთვის, როგორ დაეხვეოდ-ნენ: ზოგი შუა გულს გამოსქამდა ფოთოლს, ზოგი ფოთლის ნა-პირიდგან დაიწყებდა—აჰყვებოდა და ჩაჰყვებოდა.—თუ ფოთოლი ცოტა იქნებოდა, ქიები ერთ წამსვე მოატიტელებდნენ, ცარიელ ფო-თლის ღეროებს-ლა დაანარჩუნებდნენ.

სამ კვირაზედ ქიები იმოდენები დახდნენ, რომ, შეგეხედნა, გე-გონებოდა, თეთრი ცხვრის ფარა გაშლილაო...

ახლა ფოთლის დაჭრაც აღარ უნდებოდათ. გამგელებულები ტოტებსაც აღარ უშვებდნენ. წინანდელი ლურჯი ფერი თეთრად იც-ვალეს, ჩასუქდნენ და გალამაზდნენ სწორედ სასიამოვნო სანახაფი იყვნენ!

უნდა გენახა, რა სიხარული გექონდა ხოლმე ჩვენ, პატარა ძმებს და დებს, როცა დედა ჩვენს დიდს მმას თუთის ხეზე აჰგზავნიდა ფო-თლის დასაკრეფად.—შენ ხომ გახსოვს, შაქრო, ჩვენ სახლ წინ რომ დიდი ხართუთა დგას,—იმაზედ რომ ავიდოდა, ჩვენ, პატარაები, დაბ-ლიდგან შევეყურებდით და ვებევწებოდით, ფოთოლი ჩამოეყარა, რომ ჩვენც დაგვეყარნა ქიისთვის.

საწყალი ჩვენი ხართუთა! ისე გავატიტელებთ, რომ ფოთოლი აღარ შევარჩინეთ. თუმცა თუთა კიდევ მოიწია, მაგრამ ზევითა ტო-ტებს ჩიტები არ უსვენებდნენ და ქვეითას კიდევ ჩვენ, ყმაწვილები.

II

მეოთხე კვირა იქნებოდა, რომ ჭიები უშველებლები დახდნენ და აღარ ისვენებდნენ. დედამ ცახი შეუდგა, და ჭიებმაც ზედ ასვლა დაიწყეს. რამდენსამე დღეს შემდეგ ქსელის გაბმასაც შეუდგნენ: პირით გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ერთი ტოტიდგან მეორეზედ რაღაცა ძაფსავეთ, როგორც აი ობობა რომ აბლაბუდას გააბამს ხოლმე.

აბა რა ვიცოდი, თუ ეს ის აბრეშუმი იქნებოდა, რომლიდგანაც დედამ მე ზიზია ხალათი შემიკერა!

დღისით რომ ქსელს აბამდნენ ჭიები, ღამით კიდეც შოგ მოემწყვდებოდნენ ხოლმე რგვლად, პარკივით შემორტყმულ ქსელში, თითქოს სახლი აუშენებიათ, რომ ღამე მოსვენებით იყვნენო. გარეთა პირი რომ მოათავეს, ახლა შიგნიდგან იწყეს მუშაობა. დიდ ხანს არ გაუვლია და კიდეც გააკეთეს მშვენიერი თეთრი და ყვითელი პარკები.

ფერის გარდა პარკებში სხვა გარჩევაც იყო: ზოგი კვერცხსავეთ სულ მრგვალი იყო, ზოგი კი, შუა გულში, გარშემო ჩაქდებული. დედამ გვითხრა: ეს პარკები კარგი ჯიშის ქიისააო და სხვებს გაცილებით სჯობია, კარგი აბრეშუმი ამოიხვევაო....

მაისის გასვლამდის სუყველა ჭიებს გაკეთებული ჰქონდათ პარკები, და მშვენიერი თეთრ-ყვითლად აკუნწლული ცახები იყო გაჰწკრივებული ჩვენ სახლში.

დედამ აიღო ცახები პარკების გამოსარჩევად, მხოლოდ რამდენიმე ცახი ისევ დაანარჩუნა თავის ადგილას.

მე ვერ მივხვდი, დედამ რად დაანარჩუნა ზოგი ცახი და ზოგს რად დააცალა პარკები. ვკითხე, და აი რა მიპასუხა:

—“შვილო, ეს დარჩენილი პარკები უნდა გამოგხარშო, აბრეშუმი გავაკეთო და შენ ზიზია ხალათი შეგიკეროვო. ის ცახები კიდეც პარკებით იმიტომ დაეანარჩუნე, რომ პარკებში ჭიები პეპლებად იქცევიან, გაჰხვრეტენ პარკებს, გამოვლენ და თესლს დაჰყრიან. იმ პარკებიდგან კიდეც ყაჭი გაკეთდება. მართალია, ამ დარჩეულ პარკებშიაც არიან ზოგში კიდეც ჭიები, ზოგში პეპლები, მაგრამ ცხელ

წყალში რომ ჩაეყრი, სულ დაიხრცებიან, და დაუხერცტავ
 დგან აბრეშუმში უფრო კარგად ამოიხვევაო.

მე ძლიერ მეშურებოდა, მალე მენახა, ან აბრეშუმს როგორ
 ამოახვედნენ, ან პარკებიდგან პეპელები როგორ გამოვიდოდნენ.
 სურვილი მალე ამისრულდა. გამოკრევილი პარკები დედამ დიდ ტა-
 შტში ჩაყარა, წყალი დაასხა და ცეცხლზედ დადგა. როცა წყალი
 გაცხელდა, პატარა ჯოხით მოურია და ძაფები აქეთ-იქიდგან მოედო
 და მალლამდის ამოჰყვა. ტაშტის გვერდზედ ახლოს სატრიალეგელი
 ჯოხები გამართა დედამ. მოხარშული პარკებიდგან ამოსული ძაფი
 ეხვეოდა ტრიალა ჩარხს.

ამ გვარად დედამ სულ ამოახვია, და რამდენიმე ხანა დაუდგა.
 მერე დააქსელინა და ფეიქარს მისცა მოსაქსოვად. იმანაც გაბ-გა-
 მოაბა აბრეშუმში ჯოხებზედ, ჩაჯდა ორმოსავით ამოთხრილ მიწაში
 და დაუწყო ქსოვა. რამდენსამე დღეს შემდეგ აბრეშუმის ძაფისაგან
 მშვენიერი წმინდა აბრეშუმის ქსოვილი გამოვიდა. დედამ მაშინვე გა-
 მომიჭრა ხალათი, შამიკრა, და ახლა ზიზია ხალათით დავრბივარ.

კიდევაც მიკვირს მაინც, შაქრო, იმ პაწაწკინტელა კიებმა ასეთი
 ხალათი როგორ მომიშხადეს!?

ახლა არ იკითხავ, ი დარჩენილ ცახებზედ პარკებს რალა მოუ-
 ვიდათ?

ერთ დილას ჯერ ჩვენ ისევ ლოგინში ვიწექით, ახლად გამო-
 ღვიძებულები, რომ შემოგვესმა რალაც შრიალ-ბზუილი. მე მაშინვე
 ყურები ვცქვიტე, რომ გამეგო, საიდგან რა შრიალ-შხუილი იყო.
 დედამ მითხრა:

—აბა, შეილო, ცახებთან მიირბინე, როგორი პეპელები გამო-
 სულან პარკებიდგანაო!

მე მაშინადვე პერანგა წამოვხტი, მივირბინე ცახებთან და ენა-
 ზე, რომ თეთრი და ყვითელ პარკებიდგან გამოსულიყენენ პეპელები;
 ზოგი ტოტებზე დადიოდა და ბზუოდა,—ზოგნი კი ერთმანეთზედ
 გადაბმულები ჩუმად ისხდნენ.

როცა პეპელებს ძალა გამოელიათ, დაიხრცნენ, მამლები ნა-



მეტნავად ბოლოს დროს სულ დაქეციანდნენ. დედამ დახობილი პელები გადაყარა; თესლი კიდევ გაახვია ქალღმერთს და შეინახა.

ბოლოს დედა ჩიოდა, რომ ისე ვერ მოვიყვანე ჭია, როგორც სხვაგან მოჰყავთო,—როცა ჭია პატარა იყო, დაჩერებული ქალღმერთი უნდა მცხმარა და კოკალ ზემოდამ დამედოვო: მაშინ ქვემიდგან ჭია თავისთავად ამოვიდოდა ზევით და ნაჭამის გამოცვლაც ადვილი იქნებოდაო.

ბოლოს კიდევ დედალ-მამალი პელები ცალ-ცალკე პარკებში უნდა ჩამესხაო. მაგრამ აბა საღ მეცალა, რომ სულ იზათთვის მე-ვლო, სხვა საქმეც ბევრი მქონდაო.

დედამ ისიც დაწერილებით გვიამბო, თუ საიდგან და როგორ გაჩნდა ჩვენში აბრეშუმის ჭიის თესლი.

თავდაპირველად აბრეშუმის მოყვანა ჩინელებს უსწავლიათ. არ უნდოდათ ჩინელებს თურმე, რომ იმათ მეტს სხვასაც სცოდნოდა აბრეშუმის მოყვანა და ამიტომ თესლის გატანის ნებას არავის აძლევდნენ. მხოლოდ ორმა ბერმა, სხვა ქვეყნიდან მისულებმა, როგორც იყო მოახერხა ჩინელების მოტყუილება: ჩინეთიდან რომ წამოვიდნენ ეს ბერები თავის ქვეყანაში, ხელში ყავარჯნები ეჭირათ, და აბა ვინ მიხვდებოდა, თუ ამ ყავარჯნებს შუა გული ცალიერი აქვთ და მოახერხებულ ბერებს შიგ აბრეშუმის ჭიის თესლი ექმნებოდათ ჩუმად შენახული.

ამ სახით გამოიტანეს პირველად თესლი. იმ ბერების გადმოტანილ ჭიის თესლიდან ყველგან გავრცელდა და ჩვენშიაც იქიდან შემოიღეს აბრეშუმის მოყვანაო.

უწინ თურმე ძლიერ ძვირი იყო აბრეშუმი,—ასე რომ მარტო მეფეებს და ღად კაცობას ეცვათო აბრეშუმის ტანისამოსი, სხვა ვერაინ შესწვდებოდაო.

ახლა კი ხომ ჰხედავ, ჩემო შაქრო, მეც კი აბრეშუმის ტანისამოსში დავპარბაშებ, და აბა რომელი ხელმწიფის შვილი ვარ!

ასე, ჩემო კარგო! იქნება თავი მოგაწყინე ამოდენა ლაპარაკით აბრეშუმის ჭიაზედ, მაგრამ ნუ გამიწყობი. სხვა დროს სხვა ამბებს მოგწერ. იმედი მაქვს, შენც არ დამივიწყებ, ქალაქის ამბებს შემატყობინებ.

ა რ ხ ი მ ე დ ი

I



აბერძნეთში სცხოვრობდა მეფე, სახელად გიერონი. დიდის ხნის ამბავს გეუბნებით, ორი ათას ორასი წელიწადი იქნება მას შემდეგ. ერთხელ ამ მეფემ გიერგინის გაკეთება მოიწადინა. დაიბარა ოქრომჭედელი, მისცა ოცი გირვანქა წმინდა ოქრო და უახრა, კარგი მოხდენილ გიერგინი გამიკეთეო.

ოქრომჭედელმა საუცხოვო რამ გიერგინი გააკეთა და მოუტანა მეფეს თავის დროზე. მეფეს ძალიან მოეწონა, მხოლოდ როგორღაც ეჭვი შეეპარა გულში, ოქრომჭედელმა ოქრო ხომ არ მოიპარაო. აწონეს გიერგინი და სწორედ ოცი გირვანქა გამოვიდა. გიერონს მაინც კიდევ არა სჯეროდა, რომ ოქრომჭედელს არა მოეპაროს რაო. მართალია, ოც გირვანქას იწონს, მაგრამ იქნება ოქროს მაგიერ სხვა რამე აქვს გარეულიო. ამის გაგება, რასაკვირველია, ადვილი იყო, გიერგინი რომ გადაედნოთ, მაგრამ მეფეს გიერგინის გაფუჭება ენანებოდა, — ძალიან ლამაზად იყო გაკეთებული, — გაგება კი ძალიან უნდოდა. რა მოეხერხებინათ?

სწორედ ამავე დროს საბერძნეთში სცხოვრებდა ერთი კაცი დიდად მსწავლული, გამოჩენილი ფილოსოფოსი, სახელად არხიმედი. არხიმედს მთელს საბერძნეთში სახელი ჰქონდა გათქმული, როგორც დიდის და გამჭირახის ჭკუის კაცსა. გიერონ მეფემაც სწორედ აი ამ კაცს მიჰპართა და სთხოვა, შეეტყო, წმინდა ოქროსია გიერგინიო, თუ არა. რაღა თქმა უნდა, არხიმედს ის პირობაც დაუდეს, რომ გიერგინი არ დაეშალა.

ეს საქმე ძალიან ძნელი იყო, მეტადრე იმ ძველის დროისთვის. მაშინ ბევრმა მსწავლულმა კაცმაც არ იცოდა იმდენი, რაც ეხლა,



შესაძლებელია, ჩვენმა პატარა მკითხველებმა იცან სხვა-დასხვა გნებიდგან. არხიმედს მაინც ძალიან მოეწონა ეს საქმე და ერთგულად შეუდგა. ბევრს ეცადა, ბევრი ფიქრა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

სხვა ამის ალაგას იმედს გადიწყვეტდა და თავს დაანებებდა, მაგრამ არხიმედი ამისთანა არ იყო. დიდი ჭკუისა და მტკიცე ხასიათის კაცი კიდევ იმით განირჩევა უბრალო კაცისაგან, რომ თუ ერთხელ მოჰკიდა საქმეს ხელი, უკან აღარ დაიწევს და საქმეს ბოლომდინ მიიყვანს. ერთი ფიქრით იყო გატაცებული არხიმედი და, საცა უნდა ყოფილიყო, რაკი შემთხვევა მიეცემოდა, ამ საქმეს დაუბრუნდებოდა ხოლმე. ბოლოს კიდევ გაიმარჯვა არხიმედმა, თავის გულითაღს წაღილს მაღწია. ერთმა უბრალო გარემოებამ უშველა და გაუადვილა საქმე. აი ეს გარემოება.

ერთხელ არხიმედი აბანოში წავიდა. ჩვეულებრივ აუზში ჩაჯდა. აუზი პირთამდე წყლით იყო სავსე. რაწამს არხიმედი აუზში ჩაჯდა, წყალი ამოიღვარა. ამას ყველა შეამჩნევდით, ვინც აბანოში ჰყოფილხართ. მაგრამ, იქნება, ყურიც არ მიგიგდიათ. არხიმედსაც, ცხადია, წინად არა ერთხელ ენახებოდა ეს გარემოება, მაგრამ ყური არც იმას უთხოვებია. ეხლა კი სულ სხვა იყო. ამას სულ ერთი ფიქრი აწუხებდა. და აი ამ უბრალო გარემოებამ, აუზიღამ წყლის ამოღვრამ, საქმეს მიაგნებინა.

ამბობენ, ამ გარემოებამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა თურმე არხიმედი, რომ სიხარულით მაშინვე აუზიდგან ამოხტა, ტანჩაუცმელი, ტიტველა, ისე, როგორც იჯდა აუზში, ქუჩაში გამოვარდა და ყვირილით: „ვერიკა!“ „ვერიკა!“ ესე იგი: „გაეგე!“ „გაეგე!“ „შინ გაიქცაო.“

რამ გაახარა ასე არხიმედი? რა გაიგო? აი რამდენი ფიქრი აედრა თავში არხიმედს ჯერ ისევ აუზში, ამოღვრილი წყალი რომ ნახა. აუზში რომ ჩავეჯექ, წყალი ამოიღვარა, — რა იყო ამის მიზეზი? — ჰკითხავდა თავის თავს არხიმედი. სხვა რა უნდა ყოფილიყო, — თითონვე აძლევდა თავის თავს პასუხს: — ის ადგილი, რომელიც წყალს ეჭირა აუზში, მე დავიჭირეო... კარგი!

ვთქვათ, მე ავიწონე სასწორზე და ჩემი წონა ორასი გირვანქა,

ანუ ხუთი ფუთი, გამოვიდა. ვთქვათ, ახლა, ჩემ მაგიერ სახსე აუზში ხუთ ფუთიანი ქვა ჩაეგდე, — იმოდენავე წყალი ამოიღებოდა, თუ ნაკლებიო? — ცხადია, ნაკლები, — რადგან ქვა უფრო ნაკლებ ალაგს დაიჭერს, ვიდრე მე მეჭირაო. ხუთ ფუთიანი რკინა უფრო კიდევ ნაკლებ ადგილს დაიჭერს, მაშასადამე უფრო ნაკლები წყალიც ამოიღებოდა. ოქრო რკინაზე მძიმეა, მაშ უფრო ნაკლებ წყალს ამოჰღებოდა, უფრო ცოტა ადგილს დაიჭერდაო.

ყველა ეს, როგორც ვთქვით, აუზში მოისახრა და მოიფიქრა არხიმედმა. მოსახრება კარგია, მაგრამ დიდი სიფრთხილაც უნდა. ადამიანი სრულად მაშინ უნდა დაენდოს თავის მოსახრებას, როდესაც გამოსცდის და საკუთარის თვალთ დარწმუნდება. არხიმედსაც ასე ჰსურდა დარწმუნებულიყო და ამის გამო ეხლა ამას ქვეყანაზე აღარა ახსოვდა რა, მთელი ამის ჭკუა და გონება ერთ ფიქრზე იყო მიქცეული: გამართლდება ჩემი მოსახრება, თუ არაო? მივალწვე ჩემს წადილს, თუ არაო? ასე იყო კაცი გატაცებული, და მაშ რა გასაკვირველია, რომ არხიმედი უცბად ამოვარდა აუზიდან და ტიტველა შინ გაიქცა!

II

ენახოთ ეხლა, რა გააკეთა არხიმედმა, შინ რომ მივიდა. როგორც აუზში ჰქონდა მოფიქრებული, არხიმედი ისე შეუდგა საქმეს. აიღო საცდელად რკინა, ტყვია, ქვა, მინა და სხვა. ყველა თანასწორი წონისა იყო, ვთქვათ თითო გირვანქიანი. სასწორის უღელს ჩამოაბა ორთავე ბოლოს თანასწორი ძაფები, ერთზე ჩამოჰკიდა გირვანქიანი ქვა, მეორეზე გირვანქიანივე, ვთქვათ, რკინა. სასწორის უღელი სწორედ იდგა, არც აქეთ გადაიხარა, არც იქით.


ახლა მოუდგა სასწორს ქვემიდგან წყალი და რკინის ნაჭერი შიგ ჩაუშვა. სასწორის უღელმა გადიწია იმ მხარეს, სადაც გირვანქიანი ქვა იყო, — გირვანქიანმა ქვამ დასძლია გირვანქიანი რკინა. რისაგან მოხდაო ეს? — ფიქრობდა არხიმედი. ცხადია, წყალი იყო მიზეზი, რადგან ჰაერში ორთავე ნაჭერს თანასწორი წონა ჰქონდათ.

ამ გვარადვე სცადა ტყვია, მინა და ბევრი კიდევ სხვა და აღმოჩნდა, რომ ყველა ეს სხეული წყალში უფრო ნაკლებს იწონს, ვიდრე ჰაერში, რომ ყველა სხეულს, წყალში ჩაშვებულს, წონა აკლდება. არხიმედმა, გარდა ამისა, ისიც შენიშნა, რომ თანასწორი წონის სხეულები წყალში თანასწორ წონას არ იკლებენ, ზოგი მეტს იკლებს, ზოგი ნაკლებს. მაგალითად, რკინა გირვანქაზე შვიდ მისხლამდე წონას იკლებს წყალში, ქვა თვრამეტ მისხლამდე, მინა თექვსმეტს მისხალს და სხვა ამ გვარად.

ეხლა კი მიჰხედებით, — შეეძლო არხიმედს, გვირგვინი არ დაეშალა და პირდაპირ შეეტყო, წმინდა ოქროსი იყო თუ არა? ცხადია, შეეძლო და ადვილიც იყო. არხიმედმა აწონა ოქროც ისე, როგორც რკინა, და შეიტყო, რომ ოქრო წყალში ერთ მეცხრამეტე ნაწილს თავის წონისას იკლებს. ერთი მეცხრამეტე ნაწილი გირვანქასა იქნება ცოტა ხუთ მისხალზე მეტი. მაშ ერთი გირვანქა ოქრო ხუთ მისხალს წონას იკლებს წყალში. გვირგვინი ოცი გირვანქა იყო, მაშასადამე ოც გირვანქაზე დააკლდებოდა ასი მისხალი, ანუ ერთი გირვანქა და ოთხი მისხალი. ერთი გირვანქა და ოთხი მისხალი რომ გამოვაკლოთ ოც გირვანქას, დარჩება თვრამეტი გირვანქა და ოთხმოცდა თორმეტი მისხალი. აი ეს წონა უნდა ჰქონოდა გვირგვინს წყალში, თუ სულ წმინდა ოქროსი იყო გაკეთებული.

ეხლა რაღა დარჩა არხიმედს? — აქვს გვირგვინი და წყალში აეწონა. სწორედ ასეც მოიქცა: აწონა და აღმოჩნდა, რომ გვირგვინი წყალში იწონს თვრამეტ გირვანქას და სამოცდა თორმეტს მისხალს. ცხადია, რომ გვირგვინი წმინდა ოქროსი არ იყო, ცხადია, რომ ოქრომჭედელს ვერ მოეთმინა და ოცი მისხალი ოქრო მოეპარა.

როცა მეფე-გიერონს უამბეს, რაც არხიმედმა გაიგო, ძალიან გაეზარდა. ქურდი ოქრომჭედელი, რასაკვირველია, ღირსეულად დაასჯევინა და არხიმედი კი, არ იცოდა, როგორ დაესაჩუქრებინა. მხოლოდ თვით არხიმედი ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა საჩუქარზე. საჩუქრის გულისთვის არ მიეცა არხიმედი ასე გატაცებით ამ საქმეს. მხოლოდ განუსაზღვრელი სიყვარული საქმისა აღელვებდა ამის გულს.



ამ უბრალო გარემოებამ, გვირგვინის წონის შეტყობამ, ბევრი ახალი აზრი აღძრა ამის თავში. ბევრი უხილავი და საიდუმლო ბუნების-მოვლენა წამოუდგა ეხლა თვალ წინ. ათასგვარი კითხვა და ფიქრი დაებადა და მოსვენებას არ აძლევდა, უნდოდა ყველაფრის მიზეზი ეპოვა, ყველაფრის პასუხი შეეტყო.

ფიქრმა და ცდამ უქმად არ ჩაუარა არხიმედს. არხიმედმა მიაგნო იმ კანონს, რომლის შემწეობით ადვილი გასაგები გახდა ყველა ის, რაც არხიმედს ასე ძლიერ აფიქრებდა და აწუხებდა. ამ კანონს ეხლა პირდაპირ „არხიმედის კანონს“ ეძახიან.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ „კანონს“ მეცნიერებისთვის, ამას გაიგებთ, თუ მოგიხდებათ და ისწავლით იმ ნაწილს მეცნიერებისას, რომელსაც ფიზიკას ეძახიან. მე აქ მხოლოდ რამდენსამე მაგალითს მოგიყვანთ, რომ „არხიმედის კანონის“ მნიშვნელობას ცოტათი მაინც მიჰხვდეთ.

რისაგან არის, მაგალითად, რომ რკინის უზარმაზარი გემები არხინად დაიარებიან ზღვაში, როდესაც პატარა რკინის ნაქერიც კი იმავე ზღვაში უცბად იძირება? — აგრეთვე გაუგებარია, როგორ არის, რომ საქონლით სავსე ხომალდები წყალში თავისუფლად დაცურავენ, და ამ საქონელში კი ზოგიერთი ისეთი ურევია, რომ წყალში ჩააგდებ თუ არა, ფიცხლავ იღუპება? — ტივებს რატომ არ სძირავს წყალი?

ყველა ამის და კიდევ ბევრი სხვა ამისთანა კითხვების პასუხს „არხიმედის კანონი“ გვაძლევს.

არხიმედს სხვა ღვაწლიც მიუძღვის მეცნიერების წინაშე. გეოლოგინებათ, რა არის აზარმაცი, რკინის კეტი. გენახვებათ აგრეთვე, როგორ ხმარობენ აზარმაცს. აზარმაცის ღირსება ის არის, რომ იმ სიმძიმეს, რასაც ამის შემწეობით ერთი კაცი ასწევს, უამისოდ ორი-სამი კაცი მოძრაობასაც ვერ უზამდა. მხოლოდ ადამიანმა აზარმაცის უმთავრესი თვისება უნდა იცოდეს: აუცილებლად საჭიროა, აზარმაცს წვერი მოაკიდებინოს და შუაზედაც იყოს რაზედმე დანდობილი.

აქ ნათქვამიდან მხოლოდ დაახლოებით მიჰხვდებით, რა არის



აზარმაცი. დაწვრილებით კი ფიზიკიდან შეგიძლიანთ იმის გაგება, თუ რას ეძახიან მეცნიერებაში აზარმაცს, რაში და რაგვარად იხმარება. არხიმედმა აქაც ბევრი რამ გაიგო, ბევრი რამ შეჰმატა მეცნიერებას. რა დიდს მნიშვნელობას აძლევდა არხიმედი აზარმაცს, აქედგან დანახავთ. დიდ ხანს იყო არხიმედი ფიქრებით გატაცებული, სულ აზარმაცის თვისებას იკვლევდა და სცდიდა. უცბად რალაც ფიქრმა გაუბრინა თავში, წამოეარდა და წამოიძახა: „ოლონდ შემადლებინეთ, ფეხი მოვიკიდო, და მთელს დედამიწას შევძრავ!“

III

ამდენი რამ შესძინა არხიმედმა მეცნიერებას, ამდენი სამსახური გაუწია კაცობრიობას, და მერე რითი გაღუხადეს მადლობა? ამასაც გიამბობთ.

არხიმედის სამშობლო ქალაქს ერთმა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა. ქალაქი ზღვის პირას იდგა და მტერიც ზღვიდან მოადგა ხომალდებით. მტერს დახვედრა უნდოდა. ყველა მამულის შვილი იარაღში ჩაჯდა და საომრად გამოვიდა. არხიმედსაც უყვარდა მამული და სხვას არც ეს ჩაჰმორჩებოდა. ხოლო აქაც თავის ჭკუით და ცოდნით უფრო მეტი უშველა სამშობლოს, ვიდრე სხვამ იარაღით.

უნდა გითხრათ, რომ იმ დროს ჯერ თოფის წამალი არ იყო მოგონილი და არც თოფები ჰქონდათ, არც ზარბაზნები. მთელი იმითი საომარი იარაღი—შვილდ-ისარი იყო. და აბა შვილდისრით რას გააწყობდნენ. აი აქ მოეშველა სამშობლოს არხიმედი. ერთგვარი რალაც მანქანა მოიგონა, რომელიც ცეცხერთელა ქვებს ისე ისროდა, როგორც ეხლა ზარბაზნით ყუმბარებს ისერიან. ამ ქვებს უშენდნენ მტრის ხომალდებს და დიდს ზიანს აძლევდნენ როგორც ხომალდებს, ისე მტრის ჯარს. ამის გამო ქალაქი დიდ ხანს უძლებდა მტრის ჯარს, თუმცა მტერი რიცხვით გაცილებით მეტი იყო.

ამასობაში არხიმედიც და ბევრი სხვა ჯარის კაციც უსაქმოდ იყვნენ. არხიმედს უქმად ყოფნა არ უყვარდა და თავის სახლში დაბრუნდა. აქ ჩაიკეტა ჩვეულებრივ თავის ოთახში, დაყარა მიწაზე ქვი-



ქართული
სინგლიკოტეკა

ბრძანება

Тифлис, Худож.-Литог. Р. Шахбазян.

შა და ამ ქვიშაზე ჯოხით რაღაცა ხაზებს ავლებდა, რაღაცა ნახატები გამოჰყვანდა. ქვიშაზე იმიტომ ჰხატავდა არხიმედი, რომ იმ დროს ჯერ არც ქაღალდი იყო საწერად, არც ასპიდის დაფები. რა ჰქონდა ფიქრად არხიმედს, ახალს რას უმზადებდა კიდევ მეცნიერებას და კაცობრიობას, არაფერ იცის.

არხიმედი ისე იყო ჩაფიქრებული და გართული ამ საქმეში, რომ გარეთ ქვეყნისა აღარა ესმოდა რა. გარეთ ქვეყანაში კი, ამის სამშობლო ქალაქში, აქვე იმის ახლოს დიდი ამბავი იყო ამ დროს. მტერმა როგორც იყო აიღო ქალაქი, შემოესია და შეუბრალებლად იკლებდა და აოხრებდა ყველაფერს. გამძვინვარებული მტერი აღარავის ინდობდა, აუარებელს ხალხს ჰმუსრავედა და ჰყლევდა...

არხიმედი კი დასცქეროდა თავის ნახატებს და ქვეყნისა არაფერი ესმოდა... აგერ კარები შემოიღო და ჩაფიქრებულს არხიმედს რამდენიმე ხმალ-ამოღებულნი კაცი თავს წამოადგა. გგონიათ შეშინდა არხიმედი? წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ ეს კი უთხრა მოულოდნელ სტუმრებს: „ხელი არ ახლოთ ჩემს ნახატებსაო!“

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები არხიმედისა. მკვლელებმა აასრულეს ამის თხოვნა: ყურიც არ მიათხოვეს, ქვიშაზე რაღაც ნახატები იყო, და არხიმედს კი თავი მოსჭრეს...

ასე ადვილიდ ხელი გამოიღეს მკვლელებმა ამ სახელოვან და გამოჩენილ კაცზე! მაგრამ უმეცარ ჯარის კაცებს ესმოდათ კი განა, ვის ჰკლავდნენ, ვინ და რა კაცი იყო არხიმედი? ეს პირველი მაგალითი არ არის, — უმეცრებას ხშირად ჩაუდენია ასეთი შეუნდობელი და მიუტევებელი ცოდვა!

კ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი მ უ რ ა



მ ა ვ თ ა ვ ი დ ა ბ რ ა უ ლ ი ი ე რ . ე ა ნ ე ბ ი მ ე რ ო რ ე დ ღ ე ს უ ნ დ ა გ ა ე ჭ რ ა თ . მ თ ვ ა რ ი ა ნ ი ღ ა მ ე ი ღ ვ ა . ს ა ხ ლ ი ს ე რ თ გ უ ლ ი მ უ რ ა , ჯ ა ჭ ჭ ე თ მ ი ბ მ უ ლ ი ღ ბ ე ხ ე დ , ღ ა მ ი ს დ ა რ ა ჯ ო ბ ა ს შ ე უ დ ვ ა .

ჰ ა მ , ჰ ა მ ! დ ა ი ჭ ი თ ქ უ რ დ ი ! — ე ვ ი რ ი ს ე რ თ - თ ა ვ ა დ მ უ რ ა .


თ უ რ მ ე მ ტ ე რ ს მ ო ჭ ჳ ე რ ა თ ვ ა ლ ი . ე ს ი ე რ დ ი დ ი თ ა გ ვ ი , რ ო მ ე ლ ს ა ც ჰ ი რ მ ი ე ჭ ი რ ა თ ა ვ თ ა ვ ი .

თ ა გ ვ ა ე რ თ წ ა მ ს უ კ ა ნ დ ა ი წ ი ა , მ ა გ რ ა მ , რ ა ნ ა ხ ა , რ ო მ დ ა რ ა ჯ ი დ ა ბ მ უ ლ ი ა ო , გ უ ლ ი დ ა ი მ შ ე ი დ ა .

— ს ა ი დ ა მ მ ო გ ა ქ ე ს ე გ თ ა ვ თ ა ვ ი ? — ჭ ჳ ი თ ხ ა მ უ რ ა მ .

— შ ე ნ ი ბ ა ტ ო ნ ი ს ე ა ნ ი დ ა მ .

— ა ი , შ ე თ ა ვ ხ ე დ ო , უ ს ი რ ც ხ ე ვ ო , ქ უ რ დ ო ! კ ი დ ე ც რ ო მ ი კ ვ ე ხ ი ! მ ე რ ე ვ ი ს თ ა ნ , ჩ ე მ თ ა ნ ? !



თ ა გ ვ ი , ც ო ტ ა მ ო შ ო რ ე ბ ი თ , ჰ ი რ დ ა ჰ ი რ ჩ ა მ ო უ ჯ დ ა მ ა ღ ლ ს ;



დაცინვით შესცქეროდა, უღვამი კაბისიკა, თვალები უბრალოდ წინაზღვნ, კუდი კავივით მოერგვალბ.

აბა, მურა აბას როგორ მოუთმენდა, გაჯავრდა, გაცოფდა და გაიწია თაგვისაკენ.

— ნელა, არ დაიხრა, — უთხრა თაგვმა.

— ოჰ, ეს დაწვევლილი ჯაჭვი ცოტა გრძელი ყოფილიყო, მაშინ მიუგრებდი სეირს!

— მაშინ მეც ცოტა შორს მოგიჯდებოდი!

— ნეტა შევიძლო და გაწვევიტო ეს ჯაჭვი!

— მეც საჩქაროდ მივიძალები ჩემ სოროში... შენი სულაც არ მეძინიან.

კათამძებული თაგვი რაკი სედავდა, რომ სუეველათფერი გამივარო, თავის მტერს ცხვირ-წინ უტრიალებდა თავთავს.

გააფთრებულმა მურამ ერთი ისეთი ძალით გაიწია, რომ ღობის მარგილი გადაამტვრია.... თავგანსულმა თაგვმა ახლა კი გააგლო ნაზარავი თავთავი და იკადრა სოროსაკენ გაკურცხლა.

— ჰე, გული გაგისეთქე თუ არა!?

მტვერი სომ ავაყენებინე! — მიამახა გამარჯვებულმა მურამ, — ეს თავთავი სომ დაგადებინე, ვერ მოგართვი შესაჭმელად, და თუ როდისმე ჩამივარდები კლანჭებში, მე გიჩვენებ შენ წრეწუნს სხვის საწილს დასაკუთრებისთვის და უფროსების დაცინვისთვის.



მ ო ხ უ ც ი დ ა ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა

(ი გ ა ვ ი)

თოვლსავით გათეთრებულმა სამოცის წლის მოხუცმა ახალგაზრდის დანახვანედ მძიმედ ამოიოხრა.

—რა გაგჭირვებია, რომ ასე მწარედ ოხრავ?—ჰკითხა ახალგაზრდამ.

—შეილო, —მიუგო მოხუცმა: —იმაზედ მეტი რა უნდა გამიჭირდეს, რომ სიბერისაგან სიცოცხლის გემო დაკარგული მაქვს: ნეტარება უნ, რომ ჯერ ეხლა გიდულს სისხლი: მუხლი გიჭრის, მკლავი გემოჩიილება, თვალთა-ხედვა და ყურთა-სმენა არ გაკლია; უკან სიყრმე გიძევს, წინ დღეგრძელობა და სიხარული. მე-კი ერთი ფეხი სამარეში მიდგა და სიკედილს დღე-დღეზე მოველი.

პასუხის მაგივრად ახალგაზრდამ უარესად ამოიოხრა.

—შენ რაღა გაქვს სადარდელიო?—ჰკითხა ახლა მოხუცმა ახალგაზრდას.

—ბიძიაე, —მიუგო ახალგაზრდამ:—ჰეწმარიტად, გული სევდით მეცვება, შენს ჭაღარას რომ ეხედავ: უნებლიედ მომდის თავში ეს საკითხავი:—ნუ თუ მაღალი ღმერთი ჩემზედაც მოიღებს იმ მოწყალებას, რომ შენს ხანს მივალწიო და შენსავით აღესრულდე მზისა და ქვეყნის ცქერით. შენ რა გიჭირს: გეტყობა, არაფერში არ ყოფილხარ ღვთისაგან მოძულეებული, რომ ასე ღრმად მოხუცებულხარ. მე-კი, ვინ იცის, კიდევ შენზედ ადრე მესწრაფოს დღენი და სრულიადაც ვერა გავიგო-რა ვერც წუთისოფლის სიტკბოებისა, ვერც სიმწარისა.



ა რ ა მ ი შ ე ი ლ ი



ელი მამას ეუბნება:—გაღი, მოგცემ შენთვის წილსა, როდესაც რომ გინახავდი, სხელა იტოდი ვენახისა, ხანდისხან ყანას მომკიდი, სიმინდს გაუთოხნდი ძირსა.

ესლა შეგცივა,—შინ მოხვალ, წამოსწევები ბუხრის პირსა, დაგცხება—კარზე გამოხვალ, წამოსწევები გრალოს ძირსა...

—რა ღროს შენი ეგ საქმეა, ჯერ არა ხარ ოცის წლისა,—მაშინ კაი მამა ვიყავ, ჯიბით გიზიდავდი ხილსა, კარგად გაცმევდი, გბურავდი, ტოლი არა გჯობდა სხვისა!?...



ნ რ ა ს უ ნ ა

(თამაშობა)



თამაშენი კენჭის ყრით ანუ ერთმანეთის თანახმობით თა-ვიანთ შორის ამოირჩევენ „დედას“. დანარჩენი ბავშვები მხარი-მხარს მიუდგებიან, პირს ერთ მხარეზედ იქმენ და ასე. ჯარის კაცებსავით, ერთს სწორე ხაზზედ გამწკრივდებიან.

ამ თავითვე ამოირჩევენ ორ ბინას: დაახლოებით ერთი უნდა იყვეს 15—20 ნაბიჯზედ ბავშვებიდგან, მეორე—იმის გასწვრივ, 30—40 ნაბიჯზედ. პირები ყველას ბინებისკენ უნდა ჰქონდეთ.

„დედა“ დადგება წრის, ანუ რაზმის, უკან, აიღებს პატარა კენჭს ხელში, მივა ნაპირა ბავშვთან, რომელსაც ორივე ხელები უკან აქვს გაშვერილი და გაშლილ მუქად უჭირავს; აგრეთვე უკან უნდა ეჭიროთ ხელები დანარჩენ ბავშვებსაც, იმ მოლოდინით, რომ მოვა „დედა“ და ერთს ჩვენთაგანს კენჭს ჩაგვიდებს ხელშიო.

„დედა“ მოჰყვება თავიდან, თან ამბობს:

—პრასუნა, პრასუნა,
 ხელში ჩაგიპრასუნა!—

და თან ამ სიტყვებზედ მოწყობით სათითაოდ ყველას მუქაში ხელს ჩაუდებს. ხელის ჩადებაში „დედა“ ცდილობს თვითეული მოთამაშე მოატყუოს, აჩვენოს, ვითომ კენჭი ჩაუდო; ნამდვილად-კი ერთს ვისმეს ჩაუდებს იმ გვარად, რომ დანარჩენებმა ვერ შენიშნონ. ამიტომ აკრძალულია ამ დროს უკან მიხედვა და საზოგადოდ „დედისკენ“ ტქერა.

ბავშვი, რომელსაც „დედამ“ ხელში კენჭი ჩაუდო, უცებ, მოულოდნელად გახტება რაზმიდან და გაექანება ბინებისკენ. ყველა დანარჩენები ამას გამოედევნებიან დასაქერად; მაგრამ ამათი საზღვარი პირველი ბინაა: აქამდინ-კი მოსდევნ და, თუ ვერ შეიპყრეს, ბრუნდებიან უკან თავიანთ ადგილისკენ, გაქცეული ბავშვი-კი მივა შორეულს ანუ მეორე ბინაზედ.

აქედამ დაიწყება თამაშობის მეორე ხანა. დაბრუნებული ბავშვები შემოეხვევიან „დედას“ და სათითაოდ გარდასცემენ ხელდახელ გამოგონილს გამოცვლილს სახელებს.

ერთი ეტყვის:—მე კატა მქვიანო, მეორე—აქლემი, მესამე—ცხენიო, ანუ ვეფხვი, ირემი, ხე, ყვავილი, შამფური, მწვადი, პური, ღვინო; ერთის სიტყვით ათასგვარ უცნაურს სახელს დაირქმევენ. „დედა“ მოვალეა, ყველას სახელები დაიხსომოს. თუ დაავიწყდა ვისიმე სახელი, გაამეორებინებს.

როცა „დედა“ ყველა მოთამაშეების სახელებს გაიგებს, მიუბრუნდება ბინაზედ მისულს ბავშვს და გასაძახებს:

—რომელი გინდა: კატა, გველი, დათვი, მთა, ტყე, პური თუ ღვინო?

პასუხად მიიღებს, მაგალითებრ, —„დათვიო“. მაშინ ამ სახელის პატრონი ეახლება გამარჯვებულს, რომელიც ზურგზედ უნდა წამოიკიდოს და მოიყვანოს თამაშობის ადგილზედ. დანარჩენები შეიქმენ სიცილ-ხარხარს.

შემდეგ თამაშობა თავიდან დაიწყება; მხოლოდ „დედობა“ ეხლა უცილობლად ამ გამარჯვებულს ეკუთვნის.

თამაშობა თავიდან იწყება მაშინაც, თუ წრიდამ გასხლტომილი მოთამაშე ამხანაგებმა პირველს ბინამდე დაიჭირეს.



ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. დავეწვილშვილდი—დავიწიე, დამეზარდენ—ავიწიე.
2. კურდღელი პატარაა და გაქცევა დიდი იცისო. ✓
3. ბელაურებს სჭედნენ, ბაყაყმა ფეხი ასწიაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(იმერეთში შერეული ბეს. ლომინაძესგან)

ოღენა ოღნის ოღენა, სირა-კაქკაქის ოღენა,
შენ ბატონობა ვინ მოგცა, მუხუდოს მარცელის ოღენავ?

გავიხედე მთაზედაო, ეშმაკი ზის ქვაზედაო,
მივედი და შამოგკარი იქით-აქეთ ყბაზედაო.

გინდ შესწვი და გინდ მოხარშე, გინდ კერიდგან დასძარიო,
გინდ გასცერი, გინდ გამტკიცე, ის დარჩება, რაც არიო.

წყალში ჩავაგდე—წყალთ გალიქა,
ცეცხლში ჩავაგდე—ხმად გალიქა.

ღმერთმა ბრძანა—კაცმა ვქენი, დევს შევადგი უნაგირი,
არცა უნდა თივა-ქერი, არცა ლაგამ-უნაგირი.

ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ი

(ფშავში გაგონილი თ. რაზიკაშვილისაგან)

მალლით მალალსა მთაზედა
 კურდღელის სისხლი მდგარაო,
 ჩამოჩვეულა არწივი,
 უსვამ და ვერა მძლარაო.
 ერეკლე ბატონიშვილი
 ნაურვალ ცხენზედ მჯდარაო,
 შემოუვლია ხმელეთი,
 მაშინ-ლა ჩამომხდარაო.

ა კ რ ო ს ტ ი ს ი

აიღეთ შემდეგი სიტყვები: ლამი, ვალი, ფოთი, ომი, ფრენა, მერეთი. ამ სიტყვებს მიუმატეთ წინ თითო ასო, გამოვა სხვა მნიშვნელობის სიტყვები. შემდეგ ჩამწკრივთ იმ რიგათ, რომ სათაურ ასოებმა შეადგინონ გვარი ერთი ჩვენის ძველათ-ძველთაგანის პოეტისა.

შ ა რ ა დ ა

პირველი ასოს შეადგენს,
 დაწერაღს შემდეგ ფრისა;
 მეორით ვიცით ლამ-ლამით
 მაგრად ჩაკეტა კარისა.
 მთელი კი ბაწარ-ტყავია,
 ქვების სასროლი ბზრიალით,
 ბევრჯელ გპერიათ თქვენც ხელოში,
 ცელქებო, გულისს ცქრიალით.



ხელებით ჩრდილზედ გამოიყვანეთ შემდეგი სურათი



გ ა მ ო ც ა ნ ა - რ ე ბ უ ს ი

კ
ს

ღეღეღე

მ
II



№ V-ის გამოცანების ახსნა

1) კალმახი, 2) ახალ-შობილი ბავშვი, 3) ცხვარი, 4) კლიტე-გასაღები, 5) კვერი და ხარები, 6) ჭკუა. სახუმარო გამოცანა: ოთახში 4 კატა ყოფილა.

შარადა: ქართველი.

ლოგოგრიფი: ილია, ლია, ია, ა.

რებუსი: რათ არა გვი სახლს თუ დაუგველია.

გამოცანები ახსნეს: ბახვის სკოლის მოწაფეებმა—გიგო ჭელიძემ (კალმახი) და შალვა შარაშიძემ (ახალ-შობილი ბავშვი). ლოგოგრიფი ახსნეს: ტფილისის სამოქალაქო სკოლის II კლასის მოწაფემ ბ. მიქელაძემ და ოზურგეთში—იოსებ დუდუჩავამ—ამისგანვე იყო ახსნილი შარადაც. რებუსი გამოიწო ქუთაისის კათოლიკების სამრევლო სკოლის მოწაფემ ალექსანდრე გვარაშვილმა.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.



1891 წ. იანვრის თვიდან

ქ. ტფილისში

გამოვა, ორ თვეში ერთხელ, საემაწვილო სურათებიანი

ქ უ რ ა დ ი

ჯეჯილი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდან-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ფტილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Варятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. შურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

შოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

1/4



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა